41 ქართული ოცნება

განვითარება ყველა რეგიონს

ძვირფასო ხონელებო!

მოგმართავთ იმ პასუხისმგებლობიდან გამომდინარე, რომელიც აღებული გვაქვს თითოეული თქვენგანის, ჩვენი ქვეყნის თითოეული მოქალაქის წინაშე!

თქვენ კარგად იცით სამშობლოს სიყვარულის, მშვიდობისა და თავისუფლების ფასი. ეს არის ის ღირებულებები, რომელთა ერთგულება თითოეული ჩვენგანის ვალია და რომლებმაც უნდა გაგვაერთიანოს ჩვენი ქვეყნისა და ხალხის საკეთილდღეოდ. „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო, ჩვენი მრავალათასიანი გუნდის სახელით აცხადებს, რომ მყარად დაიცავს ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და არავის მისცემს მძიმე წარსულში დაბრუნების შესაძლებლობას. „განვითარება ყველა რეგიონს“ – ეს არის ჩვენი მიზანი, რომელიც თქვენი მხარდაჭერით და თქვენთან ერთად, აუცილებლად შესრულდება.

ჩვენ მიერ წარდგენილი ხონის მერობის კანდიდატისა და ხონის საკრებულოს წევრობის კანდიდატების მხარდაჭერა უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ წარმატებით გაგრძელდეს მუნიციპალიტეტში დაწყებული პროექტები, გაგრძელდეს ხონის განვითარება და გაუმჯობესდეს მოსახლეობის ცხოვრების პირობები.

ჩვენ გვაქვს კონკრეტული ხედვა და გეგმები, თუ როგორ უნდა განვითარდეს ხონი და გვჯერა, რომ ჩვენი გუნდი თქვენგან კვლავაც მყარ მხარდაჭერას მიიღებს.

სამართლიან და თავისუფალ არჩევნებში ერთად უნდა ვიზეიმოთ ჩვენი საერთო გამარჯვება!

„ქართული ოცნების“ პოლიტიკური საბჭო

ᲮᲝᲜᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲐ

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ეკონომიკის სისტემური რეფორმირება დაიწყო. ჩვენი გუნდის მმართველობის პირობებში, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტი, 2012 წელს არსებული 27,2 მილიარდიდან, 2020 წელს, პანდემიის ფონზე, 49,4 მილიარდ ლარს გაუთანაბრდა. ხელისუფლების გრძელვადიანი გეგმის მიხედვით, საშუალოვადიან პერიოდში, ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპი საშუალოდ 5%-ის ფარგლებში იქნება. ამ ფონზე, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლის განახევრება იგეგმება, რაც 2030 წლისთვის 10.7%-მდე შემცირებას გულისხმობს.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში, ბიზნესი გათავისუფლდა პოლიტიკური წნეხისგან, შესაბამისად ბიზნესსექტორის ბრუნვის მოცულობა, 2012 წელს არსებული 42 მილიარდიდან 2020 წელს, გლობალური პანდემიის მიუხედავად, 109,5 მილიარდ ლარს გაუტოლდა. ჩვენი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა მიზნად ისახავს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უმუშევრობის დონე შემცირდება ერთნიშნა მაჩვენებლამდე.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ

გასული წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ხელისუფლების მიერ ხონის მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამებისა და პროექტების მოცულობა. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი – 2013 წელს, ხონის ბიუჯეტის ხარჯების ნაწილი 8 მილიონ ლარს შეადგენდა, 2021 წლის გეგმით, 13 მლნ ლარია. იზრდება ადგილობრივი ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების ნაწილი – თუ 2013 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა გადასახადების ნაწილში შემოსავლების სახით 3,3 მილიონი ლარი მიიღო, 2021 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი უკვე 6,5 მლნ ლარს შეადგენს.

- ადგილობრივი ბიუჯეტის ზრდა უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის განვითარების მიზნებისა და ამოცანების ეფექტიან განხორციელებას.

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ

სოფლის მეურნეობის განვითარება, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და სოფლად ადამიანების დასაქმება სახელმწიფოს ერთ-ერთი პრიორიტეტია.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, სოფლის მეურნეობის დაფინანსება, 2012 წელს არსებული 228 მლნ-დან 2020 წლისთვის 434 მლნ ლარამდე გაიზარდა, ხოლო სურსათის ექსპორტი 511 მლნ დოლარიდან 942 მლნ დოლარამდე.

ხონის მუნიციპალიტეტში, 2015-2021 წლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ პროგრამით **„დანერგე მომავალი“,** 110 ჰექტარზე განახორციელა 73 პროექტი (ჯამურად 2 709 873 ლარი). **აგროდაზღვევის პროგრამით,** 2014-2021 წლებში, დაზღვეულია ჯამურად, 135 ჰექტარი (მოსავლის ღირებულება 369 698 ლარი), რითაც 269 ბენეფიციარმა ისარგებლა. **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის** პროგრამით, დღეს მოქმედებს 5 კოოპერატივი (31 მეპაიე, მობილიზებული კაპიტალი 113 190 ლარი). პროგრამით **„ქართული ჩაი“,** სახელმწიფოს მხარდაჭერით, 2016-2021 წლებში, დაკონტრაქტებულია 263 ჰექტარი (ჯამურად 809 346 ლარი. **შეღავათიანი აგროკრედიტით**, 2013-2021 წლებში, 78-მა უნიკალურმა ბენეფიციარმა ისარგებლა და ჯამურად 9 032 438 ლარის პროექტები განხორციელდა (თანამონაწილეობა 1 366 312 ლარი). **სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის თანადაფინანსების პროგრამით** განხორციელდა 3 პროექტი (ჯამურად 54 850 ლარი, თანადაფინანსება 21 940 ლარი). 2020 წლიდან ამოქმედდა **აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა** და დღემდე განხორციელდა 2 პროექტი (ჯამურად 86 160 ლარი, თანადაფინანსება 43 080 ლარი). **სამელიორაციო სამუშაოებზე,** 2013-2020 წლებში, დაიხარჯა 439 961 ლარი.

2013 წლიდან დღემდე ქვეყნის მასშტაბით სახელმწიფოს მხარდაჭერით ცხოველთა მფლობელებისთვის უსასყიდლოდ ხორციელდება სხვადასხვა **ვეტერინარული ღონისძიება**: ვაქცინაცია, ცხოველთა დაავადებებზე ლაბორატორიული გამოკვლევები, ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია და სხვა, რაც განაპირობებს მეცხოველეობის განვითარებასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას.

სახელმწიფომ **აზიური ფაროსანას** საწინააღმდეგოდ, ხონის მუნიციპალიტეტში, ცივი შესხურებით წლიურად საშუალოდ დაამუშავა 4 879 ჰექტარი, თერმული ნისლის გამოყენებით – წელიწადში 9 060 ჰექტრი. შედეგად მისი რაოდენობა საგრძნობლად შემცირებულია. დღეს აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საქართველოს გამოცდილებას საერთაშორისო ექსპერტები სამაგალითოდ აღიარებენ.

- **გაგრძელდება სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი პროგრამები, რაც რამდენიმე ასეული ახალი სამუშაო ადგილის შექმნასა და სოფლად დასაქმებული ადამიანების შემოსავლების ზრდას უზრუნველყოფს;**
- **ქვეყნის მასშტაბით, 2024 წლამდე განხორციელდება 1.2 მლნ ჰექტარი მიწის სისტემური რეგისტრაცია, რითაც პრაქტიკულად მიწის რეგისტრაციის პრობლემა სრულად აღმოიფხვრება;**

ᲛᲔᲬᲐᲠᲛᲔᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

მეწარმეობის განვითარება და, ზოგადად, სამეწარმეო სულისკვეთების გაძლიერება ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. ამ თვალსაზრისით, მოქმედებს რამდენიმე სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მეწარმეობის ხელშეწყობაზე.

მიკრო და მცირე მეწარმეობის მხარდამჭერი პროგრამით, „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერით, 561 792 ლარის გრანტი გაიცა. განხორციელდა 704 705 ლარის ინვესტიცია. ჯამურად დაფინანსდა 83 პროექტი (არსებული ბიზნესის გაფართოების მიზნით – 28, ახალი „სტარტაპის“ მხარდასაჭერად 55 პროექტი).

- **გაგრძელდება და გაფართოვდება მეწარმეობის მხარდამჭერი პროექტების თუ სახელმწიფო პროგრამების განხორციელება;**
- **ხელი შეეწყობა ინოვაციური ეკოსისტემის განვითარებას;**
- **წარმოების გასაძლიერებლად გაგრძელდება ფინანსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების სახელმწიფო პროგრამების დახვეწა და მათი ეფექტიანობის გაზრდა;**

ᲔᲜᲔᲠᲒᲔᲢᲘᲙᲐ

ჩვენი გუნდის ენერგეტიკული პოლიტიკის ძირითადი ამოცანა იმპორტირებულ ენერგორესურსებზე დამოკიდებულების ეტაპობრივ შემცირებასა და ადგილობრივი რესურსების ეფექტურ ათვისებას უკავშირდება.

„ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის მიხედვით, 2030 წლისთვის დადგმული სიმძლავრე გაორმაგდება და 10,166 მგვტ-ს მიაღწევს. შიდა რესურსებით გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა კი სამჯერ გაიზრდება და 34 მილიარდ კილოვატ/საათს გაუთანაბრდება.

იმერეთის რეგიონში, მშენებლობა-ლიცენზირების ეტაპზეა 4 ჰიდროელექტროსადგური:

- **ნამახვან ჰესების** კასკადი – დადგმ. სიმძლავრე 433 მგვტ, 800 000 000 აშშ დოლარი;
- **ბუჯა ჰესი 1** – დადგმ. სიმძლავრე 1,72 მგვტ, 2 200 000 აშშ დოლარი;
- **ბუჯა ჰესი 2** – დადგმ. სიმძლავრე 1,05 მგვტ, 1 450 000 აშშ დოლარი;
- **ბუჯა ჰესი 3** – დადგმ. სიმძლავრე 1,99 მგვტ, 3 010 000 აშშ დოლარი.

იმერეთის რეგიონში, **6 ლოკაციაზე მიმდინარეობს ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა,** შემდგომში **ქარის ელექტროსადგურების** ასაშენებლად. აღნიშნული ქარის ელსადგურების ჯამური სავარაუდო დადგმული სიმძლავრე 635 მგვტ-ს აღწევს.

ხონის მუნიციპალიტეტში, 2013-2021 წლებში, **გაზიფიცირებულია** ჯამურად 9 129 აბონენტი. 2013-2017 წლებში **ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი** 1422 აბონენტს დაუმონტაჟდა, რითაც ხონში მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის საკითხი სრულად მოწესრიგდა.

ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘ

„ქართული ოცნების“ გონივრული პოლიტიკის შედეგად, ტურიზმის სფეროს განვითარების თვალსაზრისით, შთამბეჭდავი შედეგები იქნა მიღწეული. 2012 წლის შემდეგ, გაორმაგდა საერთაშორისო ვიზიტორთა და მოგზაურთა რაოდენობა და 4,7 მილიონიდან 2019 წელს (პანდემიამდე) 9,4 მილიონს გაუთანაბრდა.

ტურიზმის განსავითარებლად, ხონში ჩატარდა ტურისტული რესურსების სრული ინვენტარიზაცია. **მუნიციპალიტეტში განხორციელდა** სოფ. კირჩხაში წყალვარდნილამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია; გორდი-კინჩხის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია; მოეწყო ტურისტული ინფრასტრუქტურა წყალვარდნილამდე მისასვლელ გზაზე; გამოიცა ორენოვანი ბუკლეტები ხონის მუნიციპალიტეტზე; მოეწყო ტურისტული საინფორმაციო ნიშნები და საპიკნიკე ადგილი ხონსა და ბაღდათში; სოფ. კუხში პოლიკარპე კაკაბაძის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია; თემთა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ასოციაცია „იმერეთის“ მიერ ისტორიული მუზეუმის ეზოში მოეწყო ტურისტული ინფრასტრუქტურა; ოკაცეს კანიონის მიმდებარედ ამუშავდა 4 საოჯახო სასტუმრო და 5 კვების ობიექტი; კინჩხას კანიონზე ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა; ეკოტურისტული ინფრასტრუქტურის, გადმოსახედი პლატფორმისა და ხიდების მშენებლობა.

2018-2020 წლებში განხორციელდა ისტორიული მუზეუმის რეაბილიტაცია; მოეწყო ისტორიულ და ბუნებრივ ძეგლებთან სველი წერტილები; ჩანჩქერებთან მისასვლელი ინფრასტრუქტურა.

2014 წელს დასრულდა ოკაცეს კანიონის ვიზიტორთა ცენტრის მშენებლობა და მოეწყო ტურისტული ინფრასტრუქტურა (4 850 000 ლარი). **2018 წელს** განახლდა ოკაცეს კანიონის კიდული ბილიკი (120 329 ლარი). **2019 წელს** განხორციელდა კინჩხას ჩანჩქერის ვიზიტორთა ცენტრის, გადასახედისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები (ინვესტიცია 1 188 623 ლარი).

- **მომავალში „ქართული ოცნების“ გუნდის გეგმის თანახმად, საშუალოვადიან პერიოდში, 2025 წლისთვის ქვეყანას 10 მილიონი მოგზაური ეწვევა, ხოლო ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი 4.2 მილიარდ დოლარს გაუთანაბრდება;**
- **2030 წლისთვის საქართველო 13 მილიონ მოგზაურს უმასპინძლებს, ხოლო შემოსავლები 6,5 მილიარდ დოლარს მიაღწევს;**

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა და გარემოს დაცვა

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე, გარემოსდაცვითი ღონისძიებების გატარების თვალსაზრისით არაერთი რეფორმა გატარდა. ქვეყნის მასშტაბით, თუ 2012 წელს დაცული ტერიტორიები 519 ათასი ჰექტარი იყო, დღეისათვის 798 ათასი ჰექტარია. 2012-2020 წლებში, შეიქმნა 26 ახალი და გაფართოვდა 3 დაცული ტერიტორია.

ხონის მუნიციპალიტეტში, 2013-2020 წლებში, ინდივიდუალური საყოფაცხოვრებო სარგებლობის მიზნით ადგილობრივ მოსახლეობაზე გაცემულია 32 ათასი კუბ.მ **მერქნული რესურსი.** 2019-2021 წლებში, მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების მიზნით, მოეწყო **საქმიანი ეზო.** 2014-2021 წლებში, ხე-ტყის ორგანიზებულად დამზადების ფარგლებში, დამზადდა 3847,9 კუბ.მ ხე-ტყე. რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ობიექტების ინსპექტირება, რეგულარულად ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული **ობიექტების ინსპექტირება**.

გარემოს ეროვნული სააგენტო მუდმივად, უწყვეტ რეჟიმში ახორციელებს **ჰიდრომეტეოროლოგიურ დაკვირვებებს** და ავრცელებს გაფრთხილებებს მოსალოდნელი სტიქიური მოვლენების შესახებ. ყოველწლიურად მიმდინარეობს სტიქიური გეოლოგიური პროცესების მონიტორინგი.

- **სამომავლოდ გაფართოვდება ატმოსფერული ჰაერის, ნიადაგის და წყლის ხარისხის მონიტორინგისა და შეფასების სისტემები;**
- **გაგრძელდება სტიქიური გეოლოგიური პროცესების ყოველწლიური მონიტორინგი, შეფასდება გეოლოგიური საფრთხის ქვეშ არსებული დასახლებები და გაიცემა რეკომენდაციები გასატარებელი დამცავი ღონისძიებების შესახებ;**
- **გარემოსდაცვითი სტანდარტები თვისებრივად დაუახლოვდება ევროპულ მოთხოვნებს;**
- **ხელისუფლების გეგმის თანახმად, 2030 წლისთვის დაცული ტერიტორიების ფართობი 1 მილიონ ჰექტარს გაუთანაბრდება.**

ინფრასტრუქტურა და საზოგადოებრივი მომსახურება

2022-2023 წლებში, ხონის მუნიციპალიტეტში, ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესება-განვითარებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდება.

2013-2020 წლებში, ხონში, **ადგილობრივი მნიშვნელობის** გზების რეაბილიტაცია-მშენებლობისთვის, ადგილობრივი და ცენტრალური ბიუჯეტიდან ჯამურად, 16 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა. აშენდა 1 და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 3 ხიდს. **სტიქიით** დაზიანებული ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციოდ სახელმწიფომ 1,295 მლნ ლარი გამოყო.

ხელისუფლების გეგმით, 2021-2025 წლებში, მუნიციპალიტეტის **ინტერნეტით უზრუნველყოფის** მიზნით, იგეგმება მაღალსიჩქარიანი ფართოზოლოვანი ქსელის მშენებლობა, შედეგად, ხონის 12 დასახლებულ პუნქტში მცხოვრებ 2 240 ოჯახს მაღალსიჩქარიან ინტერნეტზე წვდომის საშუალება ექნება.

2014-2020 წლებში, ხონის **წყალმომარაგებისა და საკანალიზაციო ქსელის** განვითარებაზე, მუნიციპალური და ცენტრალური ბიუჯეტიდან, ჯამურად 4 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა, ხოლო აბონენტების რაოდენობა 3 700-მდე გაიზარდა. კერძოდ, ამ ეტაპზე მიმდინარეობს ხონის მუნიციპალიტეტის, სოფელი ახალშენის (სვანებისა და ფრანგების უბანი) წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები, რომლის ჯამური ღირებულება 3 მილიონ ლარამდეა.

ხონი სოფელი ივანდიდი, თხილის გადამამუშავებელი საწარმო

2021-2022 წლებისთვის, ხონის მუნიციპალიტეტში, დაგეგმილია ან უკვე განხორციელების ფაზაშია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სოფ. პატარა ჯიხაიშში, სოფ. გოჩაჯიხაიშისკენ გზის მოასფალტება – 476 309 ლ;
- სოფ. გუბში, II ქუჩის მოასფალტება – 167 588 ლ;
- სოფ. საწულუკიძეოში, წმ. ნინოს ქუჩისა და საწულუკიძეოს ცენტრის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება – 281 069 ლ;
- სოფ.ნახახულევში, I და X ქუჩების მოასფალტება – 484 880 ლ;
- ქ. ხონში, წერეთლის ქუჩის რეაბილიტაცია და შესახვევის მოასფალტება – 228 275 ლ;
- ქ. ხონში, გორგასლის ქუჩის II შესახვევის მოასფალტება – 79 445 ლ;
- ქ. ხონში, თამარ მეფის I შესახვევისა და ჩიხის მოასფალტება – 110 678 ლ;
- სოფ. მათხოჯში, მე-9 ქუჩის მოასფალტება (II ეტაპი) – 180 281 ლ;
- სოფ. გოჩაჯიხაიშში, გოგავების უბანში, შიდაგზების მოასფალტება – 297 638 ლ;
- სოფ. გვაზაური-ღანირის გზის მოასფალტების დასრულება – 200 000 ლ;
- სოფ. პატარა კუხში II ქუჩის მოასფალტება – 300 000 ლ;
- სოფ. დედალაურში გზის მოასფალტების გაგრძელება – 300 000 ლ;
- ხონი-წყალტუბოს მე-12 კმ-დან სოფ. დედალაურის ცენტრამდე გზის მოასფალტება – 216 795 ლ;
- ქ. ხონში, თაყაიშვილის ქუჩის I შესახვევის მოასფალტება – 112 017 ლ;
- ქ. ხონში, დევნილთა დასახლებაში, კულტურის ცენტრისა და №2 ბაღის დამაკავშ. გზის მოასფალტება – 56 139 ლ;
- ქ. ხონი, ჯაფარიძის ქუჩის რეაბილიტაცია – 220 495 ლ;
- სოფ. კინჩხის ადმ. ერთეულში ქვედა კინჩხა, ზედა კინჩხა, კინჩხაფერდში საუბნო გზებზე ბეტონის საფარის მოწყობა – 413 789 ლ;
- მათხოჯის ადმინ. ერთეულში სოფ. სუხჩას გზების რეაბილიტაცია – 141 362 ლ;
- **აქტიურ ფაზაშია რიკოთის უღელტეხილზე საერთაშორისო მნიშვნელობის მაგისტრალის მშენებლობის პროექტი. კერძოდ, ამ ეტაპზე მშენებლობა ერთდროულად მიმდინარეობს ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის, ჩუმათელეთი-ხევის, ხევი-უბისას, უბისა-შორაპნის და შორაპანი-არგვეთას მონაკვეთებზე. აღნიშნული პროექტების ჯამური საინვესტიციო მოცულობა 2,8 მილიარდ ლარს აღემატება. სახელმწიფოს გეგმის თანახმად, 2023 წლამდე სხვადასხვა მონაკვეთების დასრულება ეტაპობრივად იგეგმება.**

ლადო ჯურხაძე: დარწმუნებული ვარ, ჩემი ხონელები მხარს დამიჭერენ და ჩვენ, ერთად შევქმნით ხონში ახალ შესაძლებლობებს!

ლადო ჯურხაძეს ხონელები უკვე მერის პოზიციიდან შესრულებული საქმეებითაც იცნობენ. ფიქრობს, სწორედ განხორციელებული პროექტები და ხონელებთან თბილი, უშუალო ურთიერთობაა იმის მიზეზი, რომ „ქართლმა ოცნებამ“ ნდობა ამჯერადაც გამოუცხადა და ხონის მერობის კანდიდატად დაასახელა.

გამარჯვებაში დარწმუნებულია. იმედი აქვს, რომ არჩევანის გაკეთების დროს ხონელები მის 4-წლიან საქმიანობასაც შეაფასებენ და იმასაც გაითვალისწინებენ, რომ მუნიციპალიტეტში ბევრი პროექტია დაწყებული, რომელთა დასრულებაც, მისთვის და ხონელებისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია. თუმცა, გადაწყვეტილების მიღებისას ხონელებს კანდიდატის ოჯახისადმი მათი დამოკიდებულებაც დაეხმარებათ – პედაგოგებისა და ექიმების გარემოცვაში გაიზარდა. მისი ოჯახის ყველა წევრი, წლების განმავლობაში ხონის სამსახურში იდგა.

ბოლო 4 წელია თავადაც მშობლიური ხონის სამსახურში დგას. აპირებს, რომ მომდევნო 4 წელიც ხონს მიუძღვნას და მის განვითარებაში წვლილი შეიტანოს. გეგმაც ბევრი აქვს და იდეაც. დარწმუმებულია, გუნდის მხარდაჭერით, ხონელებთან ერთად, ხონისთვის ბევრ ახალ შესაძლებლობას შექნის.

დაიბადა 1977 წლის 17 ივნისს, ქალაქ ხონში.

1994 წელს დაამთავრა ქ. ხონის №2 საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაებარა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე; 1996 წელს – ამავე უნივერსიტეტის მეორად ფაკულტეტზე, სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

2001 წელს სწავლა დაიწყო კავკასიის ბიზნესსკოლის სამაგისტრო პროგრამაზე MBA. 2016-2017 წლებში გაიარა თავისუფალი უნივერსიტეტის სასერტიფიკატო პროგრამა CFM (Certified Financial Manager).

1999 წელს მუშაობა დაიწყო სადაზღვევო კომპანია „ალდაგში“, სადაზღვევო აგენტად; 2000-2006 წლებში იყო სსიპ „ენერგოგენერაციაში“ სხვადასხვა პოზიციაზე; 2007 წელს კი – საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემაში შიდა აუდიტორად ფინანსური განხრით.

2007 წელს მუშაობდა სს „ტრანსმშენში“ ფინანსურ დირექტორად. 2009-2017 წლებში – კომპანია Caucasus Automotive Retail-ში ფინანსურ დირექტორად. გავლილი აქვს სახელმწიფო უნივერსიტეტის სამხედრო კათედრა, მიენიჭა უმცროსი ლეიტენანტის წოდება.

2017 წლიდან დღემდე არის ხონის მუნიციპალიტეტის მერი.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი

– ბატონო ლადო, თქვენი აზრით, გუნდმა ნდობა კიდევ ერთხელ რატომ გამოგიცხადათ?

– პირველ რიგში, მინდა დიდი მადლობა გადავუხადი პოლიტიკურ გუნდს, პარტია „ქართულ ოცნება – დემოკრატიულ საქართველოს“ და მის ლიდერს ირაკლი ღარიბაშვილს ნდობისთვის. ჩემთვის ძალიან საპასუხისმგებლოა კვლავ ვიყო ჩემი ხონის მერობის კანდიდატი. ვერ დავასახელებ რამე კონკრეტულს, რაც შეიძლება საფუძვლად ედოს ამ გადაწყვეტილებას, თუმცა თავმდაბლობის გარეშე გეტყვით, რომ ის სიყვარული, ენთუზიაზმი და მოტივაცია, რაც ხონისა და ხონელების მიმართ მათ საკეთილდღეოდ მაქვს, ალბათ მათთვისაც შესამჩნევია. უამრავი საქმეა დაწყებული და მაქვს ასევე უამრავი გეგმა, რომლის დასრულებასაც სწორედ კვლავ არჩევის შემთხვევაში სრულფასოვნად შევძლებ. მაქსიმალურად ვეცდები და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ ეს მხარდაჭერა და ნდობა, რომელიც ჩემმა თანაგუნდელებმა გამომიცხადეს, გავამართლო.

– ამბობთ, რომ უამრავი საქმეა დაწყებული, თქვენი მერობის პერიოდში, რა შეიცვალა ხობში და რა მნიშვნელოვანი პროექტები განახორციელეთ?

– სხვადასხვა მიმართულებით არაერთი პროექტი და პროგრამა განვახორციელეთ ხონისა და ხონელების საკეთილდღეოდ. მოვიზიდეთ მილიონამდე გრანტი, როგორც ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად, ასევე მეწარმეობის მხარდასაჭერად.

ოთხი წლის განმავლობაში, ჯამში, 155 კილომეტრამდე გზის საფარი დაიგო და რეაბილიტირდა, როგორც ქალაქის ტერიტორიაზე, ისე სასოფლო და შიდასაუბო მონაკვეთებზე. წყლის პრობლემა გადაიჭრა ხონის ორ სოფელში, რომელიც ეკომიგრანტებითაა დასახლებული და აღნიშნული საკითხი წლების განმავლობაში დიდ პრობლემას უქმნიდა მოსახლეობას. სოფლებისა და ქალაქის ტერიტორიაზე, საგანმანათლებლო, სპორტული და კულტურული დაწესებულებების ინფრასტრუქტურული არაერთი პრობლემა გადავჭერით და ახალ სასწავლო წელს უმეტესი ნაწილი გამართული ინფრასტრუქტურით შეხვდა. ბევრი მათგანი რეაბილიტირდა და გახდა ადაპტირებული მოწყვლადი ჯგუფებისთვის. ასევე, წარმატებით განვახორციელეთ მოლაპარაკებები 5 მსხვილ ინვესტორთან, რომელთა შემოსვლაც ადგილზე უმუშევრობის დონის შემცირებასთანაა პირდაპირ კავშირში. ინვესტორების მოსაზიდად გუნდთან ერთად დღემდე აქტიურად ვაგრძელებ მუშაობას. ხონს დიდი რესურსი და პოტენციალი აქვს, რომლის სწორად გამოყენების შემთხვევაში, შევძლებთ სწრაფ განვითარებას და წინსვლას. დარწმუნებული ვარ სწორი გზა გვაქვს არჩეული. პროფესიული გადამზადება, მეწარმეობის ხელშეწყობა და ინვესტორებთან მუშაობა – თითოეული მიმართულება ხელს უწყობს ძირითადი გამოწვევების დასაქმებისა და სოციალური საკითხების – გადაჭრას.

– ხონის განვითარების ერთ-ერთი პერსპექტივა სოფლის მეურნეობაცაა. ადგილობრივები შესაბამისი პროგრამებით სარგებლობენ და ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში რა სიახლეებია?

– სახელმწიფოს მიერ სოფლის მეურნეობაში ჩადებულია მილიონობით ლარი, რაც ჩვენს მუნიციპალიტეტზე კარგად აისახა. მოხდა ათიათასობით ჰექტრის ათვისება, სხვადასხვა კულტურების გაშენება და ადგილობრივების გაძლიერება. მაგალითად, მუნიციპალიტეტის მასშტაბით ათვისებულია 385 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწა, სადაც როგორც მსხვილი კომპანიების, ასევე კერძო პირების მიერ გაშენებულია სხვადასხვა კულტურები. მათ შორის 153 ჰექტარზე ჩაის პლანტაცია, 165,4 ჰექტარზე კენკროვანი კულტურები (მოცვი, ჟოლო, მაყვალი), 40 ჰექტარზე ტყემალი, 30 ჰექტარზე სიმინდი. სოფლის მეურნეობის მიმართულებით ამხელა თანხების მობილიზება იმის დამადასტურებელია, რომ ხელისუფლებისთვის რეგიონების განვითარება პრიორიტეტულია. ამას ასევე ამტკიცებს მთავრობის მიერ დაანონსებული მუნიციპალიტეტების გაძლიერებისა და მიმზიდველობის ხელშეწყობა, რაც ჩვენს ქალაქში უკვე დაწყებულია. პირველ რიგში, გამოვყოფდი მუნიციპალური ცენტრების რეაბილიტაციას, ვიზიტორებისთვის მიმზიდველობის გაზრდას, რაც პირდაპირ კავშირშია მომსახურების სხვადასხვა სფეროს განვითარებასა და ეკონომიკურ გაძლიერებასთან.

– ხელისუფლების ეს დამოკიდებულება რეგიონებისა და ზოგადად, ქვეყნის განვითარების მიმართ, არის უმთავრესი მიზეზი, რის გამოც დღემდე ამ გუნდის წევრი ხართ?

– არა მხოლოდ ეს... არ მჩვევია საქმის შუა გზაზე მიტოვება. გუნდი, რომელსაც მე წარმოვადგენ ყოველთვის მიმაგრებდა და მიმაგრებს ზურგს, ეს არის დიდი ძალა, რომლის მთავარი ღირებულებები – სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება, ჩემთვის უმთავრესია. ვფიქრობ, მმართველი გუნდის მიერ დასახული მიზანი და ქვეყნის განვითარების კონცეფცია სწორად არის განსაზღვრული და მჯერა არსებული გამოწვევები თანმიმდევრულად იქნება მინიმუმამდე დაყვანილი. ესაა მიზეზები, რის გამოც, 2012 წლის მოვლენების შემდეგ. პოლიტიკურად გააქტიურებისა და ამ გუნდის გვერდით დგომის სურვილი გამიჩნდა.

ᲚᲐᲓᲝ ᲯᲣᲠᲮᲐᲫᲘᲡ ᲝᲯᲐᲮᲣᲠᲘ ᲘᲓᲘᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲒᲣᲚᲨᲔᲛᲐᲢᲙᲘᲕᲠᲔᲑᲘ

მომავალი მეუღლე მეგობრების წრეში გაიცნო. იმხანად, ლიკა ლაბარტყავა საზღვარგარეთ, კარდიოლოგის სპეციალობას ეუფლებოდა. ერთმანეთი შეუყვარათ და ოჯახი შექმნეს. მაშინ კანდიდატი 31 წლის იყო. ქალბატონი ლიკა კარდიოლოგიის დოქტორია და სამედიცინო ცენტ „ციტოში“ მენეჯერის პოზიციაზე მუშაობს.

2009 წელს ქალიშვილი შეეძინათ. როცა შვილის სქესს ეკითხებოდნენ, ხშირად პასუხობდა: „ვაჟკაცი გოგო მყავს!“ სესილი მშობლების გადატვირთული გრაფიკის გამო საოცრად დამოუკიდებელია. გატაცებულია უცხო ენების შესწავლით და გოგოსთვის უჩვეულოდ, დაინტერესებულია სპორტით.

„ისეთ ასაკშია, ბევრ საკითხზე ჩემი შეხედულებები აინტერესებს. განსაკუთრებული ურთიერთობა გვაქვს. ვმეგობრობთ და ვსაუბრობთ, როგორც ზრდასრული ადამიანები“, – აცხადებს კანდიდატი და იმასაც გვიმხელს, რომ სესილი ხონზე უზომოდ შეყვარებულია. მიუხედავად იმისა აქ არ იზრდება, არდადეგებზე ყოველთვის გული ხონისკენ მიუწევს, რითაც მამა ამაყობს. კანდიდატი, გადატვირთული გრაფიკის მიუხედავად, ცდილობს, შვილის აღზრდაში აქტიურად იყოს ჩართული და სესილის ყურადღება არ მოაკლოს.

ბოლო 4 წელიწადში მათ ოჯახში ახალი დღის წესრიგია – რაღაცების შეცვლა მოუწიათ. მაგალითად, სახე იცვალა ოჯახურმა ტრადიციამ, ახალ წელს ყოველთვის შინ, ოჯახურ გარემოში შეხვედროდნენ. ხალხზე მზრუნველი მერი, უკვე 4 წელია ახალ წელს ხონელებთან ერთად ხვდება და ოჯახის წევრებიც, შეძლებისდაგვარად, მის გვერდით არიან.

როცა გაიგეს, რომ ხონის მერობას მეორე ვადითაც აპირებდა, გადაწყვეტილება მოუწონეს და მხარი დაუჭირეს. ეგაა მხოლოდ, რომ კანდიდატის დედამ ცოტა ინერვიულა. ასე იყო წინა არჩევნებზეც – დედა აფრთხილებდა, ყოველთვის ყველაფერს ისე ვერ გააკეთებ, ყველა კმაყოფილი იყოს, მერობა დიდი პასუხისმგებლობაა.ო. 4 წლის თავზე, ოჯახის წევრები თამამად ამბობენ, რომ ეს პასუხისმგებლობა ლადო ჯურხაძემ ღირსეულად იტვირთა. აქ, ოჯახში, სადაც მას ყოველთვის იდილია ხვდება, მისი ყველაზე გულწრფელი გულშემატკივრები არიან. აქ, იციან, რომ ლადო ჯურხაძე, მშობლიური ხონის განვითარებისა და ხონელების კეთილდღეობისთვის, თავდაუზოგავად იშრომებს.

– ბატონო ლადო, ისე, საინტერესოა, ექიმების ოჯახში გაზრდილს, თავის დროზე სამედიცინო განათლების მიღების სურვილი რატომ არ გაგიჩნდათ?

– დიახ, ჩემი ოჯახის წევრები ძირითადად სამედიცინო სფეროში არიან დასაქმებულნი. ბებია ცნობილი სტომატოლოგი იყო, რომელმაც ოფიციალურად, მუშაობა 78 წლის ასაკში შეწყვიტა. მამიდა, ციური ჯურხაძე ცნობილი გინეკოლოგია, ანესთეზიოლოგ-რეანემატოლოგი იყო მამა, ავთო ჯურხაძე, რომელმაც ხონში ბევრს შეუნარჩუნა სიცოცხლე. მისი სახელი დღესაც წინ მხვდება – როცა იგებენ, მისი შვილი ვარ, დიდ სითბოს გამოხატავენ ჩემს მიმართ. მამას განუყრელი მეგობარი იყო ექიმი ელვარდ გეგია და მათ საოცარ ტანდემს ხონში ხშირად იხსენებენ. ასეთი მამის შვილობა უდიდესი პასუხისმგებლობაა. დედა, გულნაზ ჩიქოვანი პედაგოგია. ექიმობაზე არ მიფიქრია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩავაბარე. მეორად ფაკულტეტად კი, სამართალმცოდნეობა ავირჩიე. თავდაპირველად, მუ-

შაობა „ალდაგში“ დავიწყე, მაღალი ხელფასი არ მქონდა, მაგრამ მისი 80% უცხო ენების ინტენსიური კურსის შესასწავლად მივმართე. ეს გონივრული გადაწყვეტილება იყო, რომელიც შემდეგ ძალიან გამომადგა. მოგვიანებით, ენერგოგენერაციაში გადავედი სამუშაოდ. მის დაქვემდებარებაში იყო გარკვეული ჰიდროელექტროსადგურები. მათი ტექნიკური აუდიტი, ასევე 2 დიდი – ლაჯანურჰესისა და ხრამჰესის სარეაბილიტაციუო სამუშაოები მიმდინარეობდა ჩვენი კოორდინაციით. ვმუშაობდი კომპანია „ტრანსმშენშიც“, რომელიც ძირითადად რკინიგზის ობიექტების მშენებლობით იყო დაკავებული. ერთ-ერთ პროექტს გამოვყოფ, რომელიც დღეს არაა დატვირთული, მაგრამ საკმაოდ ინოვაციური იყო – აეროპორტთან რკინიგზის სადგური. 2009 წლიდან კი Caucasus Automotive Retail-ის ფინანსური დირექტორი ვიყავი, სანამ ხონის მოსახლეობამ მერად არ ამირჩია.

– ამ 4 წლის განმავლობაში როგორი ურთიერთობა ჩამოგიყალიბდათ ამომრჩეველთან, ხშირად ხვდებოდით მათ და რას ითხოვდნენ თქვენგან?

– გასული 4 წლის მანძილზე გუნდთან ერთად აქტიურად ვხვდებოდი ადგილობრივებს. ყველა სოფელსა და ქუჩაზე არაერთხელ ვარ ნამყოფი. ნებისმიერი საკითხის გადასაჭრელად თავად მივდიოდი მათთან. ჩემთვის არ არსებობს მიღების კონკრეტული დღეები, მოქალაქეს ნებისმიერ დროს შეუძლია მომმართოს, შემხვდეს პირადად, ჰქონდეს სატელეფონო კომუნიკაცია. მაქსიმალურად ვცდილობდი რაც შეიძლება მეტ სიახლოვეს, მეტ კომუნიკაციას და მოსახელეობის ჩართვას ადგილობრივი მმართველობის განხორციელებაში.

– ასეთივე ყურადღებას აქცევდით ხონის დევნილთა დასახლების მკვიდრებსაც?

– რა თქმა უნდა. ხონის დევნილთა დასახლება არათუ რეგიონში, არამედ ქვეყანაში არის ერთ-ერთი მოწინავე, სადაც საკითხების უმრავლესობა არის გადაჭრილი და უკვე ისეთი გამოწვევების გადაჭრაზე ვმუშაობთ, როგორიცაა დასაქმება და ეკონომიკური გაძლიერება. ამ მიმართულებით ცენტრალური ხელისუფლებისა და არასამთავრობო სექტორის ჩართულობით ადგილობრივი დევნილი მეწარმეებისთვის არაერთი საგრანტო პროექტი განვახორციელეთ, ამ ეტაპზეც მიმდინარეობს 30 შეგირდის 10-თვიანი ანაზღაურებადი გადამზადების პროგრამა.

– ამჯერად რას პირდებით ხონის მოსახლეობას და რატომ უნდა დაგიჭირონ მხარი?

– ხონელები კარგად ხედავენ ყველა იმ გადაწყვეტილებას, რაც მათ სასიკეთოდ, საკეთილდღეოდ მიიღო გუნდმა. არაერთი გარდამავალი პროექტია, რომლის ბოლომდე, სრულყოფილად მიყვანაც ჩემი, როგორც რიგითი ხონელის ვალდებულებაა. მე მათ კიდევ ერთხელ ვთხოვ მხარდაჭერას, გვერდით დგომას, რადგან მაქვს ხელშესახები ბერკეტები, რომ მნიშვნელოვანი საკითხები და გამოწვევები, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს, ერთად გადავჭრათ, სამომავლო გეგმები სისრულეში მოვიყვანოთ. დარწმუნებული ვარ, რომ არჩევნები ჩატარდება მშვიდ გარემოში, ღირსეული კონკურენციის პირობებში, რაც თითოეული კანდიდატის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ჩემის მხრივ,, ყოველთვის მზად ვარ თანამშრობლობისთვის, დებატებისა თუ სხვა ფორმით კომუნიკაციისთვის. დარწმუნებული ვარ, ჩემი ხონელები მხარს დამიჭერენ და ჩვენ, ერთად შევქმნით ხონში ახალ შესაძლებლობებს!

ჯანმრთელობის დაცვა

„ქართული ოცნებისთვის“ უმთავრესი ღირებულება არის ადამიანი, ხოლო საქმიანობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი – ადამიანზე, მის ღირსებაზე, სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია.

2012 წლის შემდეგ უპრეცედენტოდ, 4,5-ჯერ გაიზარდა ჯანდაცვის დაფინანსება.

2013 წელს **საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის** ამოქმედებით, „ქართულმა ოცნებამ“ საფუძველი ჩაუყარა ჯანდაცვის ხარისხიან სერვისებზე უნივერსალურ ხელმისაწვდომობას. 2017 წლიდან განისაზღვრა ბენეფიციარების შემოსავლების მიხედვით დიფერენციაციის ახალი კრიტერიუმები. შედეგად, 40%-დან 99.9%-მდე გაიზარდა მოსახლეობის სერვისებით მოცვა, დაფინანსდა 8,6 მლნ-ზე მეტი შემთხვევა (2,8 მლნ ბენეფიციარი), რაზეც 4,6 მლრდ ლარზე მეტი გამოიყო. 2013-2020 წლებში, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, ხონის მუნიციპალიტეტზე გამოყოფილი 32 624 945 ლარით დაფინანსდა 72 739 შემთხვევა, მათ შორის: **გეგმური ამბულატორიული** (გამოიყო 2 032 211,6 ლარი, დაფინანსდა 130 924 ბენეფიციარი), **გადაუდებელი ამბულატორიული** (3 484 126 ლარით 44 143 შემთხვევა), **გადაუდებელი სტაციონარული** (19 904 537 ლარით 16 518 შემთხვევა), **გეგმური ქირურგიული** (4 345 046 ლარით 3 812 შემთხვევა), **მშობიარობა და საკეისრო კვეთა** (1 145 470 ლარით 1 917 შემთხვევა) და **ქიმიო, ჰორმონო და სხივური თერაპია** (2 219 158 ლარით 5 182 შემთხვევა). **გაიზარდა ონკოლოგიური პაციენტების ქიმიოთერაპია/სხივური თერაპიის კომპონენტში არსებული ლიმიტი 8 000 ლარის ოდენობით.**

ქრონიკული დაავადების მქონე მოწყვლადი ჯგუფებისთვის მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის პროგრამა ამოქმედდა სოციალურად დაუცველი პირების (სარეიტინგო ქულა 100 ათასამდე), საპენსიო ასაკის მოქალაქეებისა და შშმ ბავშვებისთვის, ვეტერანებისა და გამყოფი ხაზის სოფლების მოსახლეობისთვის. 2017-2021 წლებში (ივლისის მდგომ.), პროგრამით, **ხონის მუნიციპალიტეტში,** დაფინანსდა 3 808 ბენეფიციარი (209 634 ლარი). 2012 წლის შემდეგ, 3,4-ჯერ – 29,0 მილიონი ლარიდან 100,7 მილიონ ლარამდე გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან **საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსება,** მათ შორის, უპრეცედენტოდ, 7-ჯერ გაიზარდა **იმუნიზაციის პროგრამის ბიუჯეტი** (24.1 მლნ ლარი შეადგინა). სახელმწიფო უზრუნველყოფს 13 დაავადების პრევენციას, წარმატებით დაინერგა 5 ახალი ვაქცინა. ხონის მუნიციპალიტეტში 89%-დან 97%-მდე გაიზარდა იმუნიზაციით მიზნობრივი ჯგუფის მოცვის მაჩვენებელი.

ტუბერკულოზის ეროვნული პროგრამით განხორციელებული ღონისძიებების შედეგად,. უკანასკნელ წლებში შემცირდა ტუბერკულოზის გავრცელება – 2013 წლის შემდეგ, **ხონში,** სტაციონარული მკურნალობით 116-მა (287 811 ლარი), ამბულატორიული მომსახურებით – 1 302-მა პაციენტმა (128 034 ლარი) ისარგებლა. **დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის სფეროში** ხელისუფლების მხრიდან გატარებული თანმიმდევრული პოლიტიკის შედეგად, 2017 წელს დაფიქსირდა დედათა სიკვდილობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი, წინა წლებთან შედარებით (13.1/100 000 ცოცხალშობილზე). 2018 წლიდან 8-მდე გაიზარდა ვიზიტების რაოდენობა ორსულთათვის. 2014 წლიდან ყველა ორსული უზრუნველყოფილია ფოლიუმის მჟავითა და რკინის პრეპარატით. 2013-2020 წლებში, **მუნიციპალიტეტში** ანტენატალური სერვისის მიმღებია 3 096 ორსული (320 193 ლარი), მედიკამენტებით უზრუნველყოფილი – 886.

2015 წლიდან საქართველოში, მსოფლიოში პირველად, დაიწყო **C ჰეპატიტის ელიმინაციის (აღმოფხვრის) პროგრამა** (21,7 მლნ ლარი). პროგრამა მოიცავს საქართველოს მოქალაქეებისათვის უფასო სკრინინგს, დაავადების დიაგნოსტიკასა და კომპანია „გილეადის“ დაფინანსებით C ჰეპატიტით დაავადებული პაციენტების უფასო მკურნალობას უახლესი თაობის ძვირადღირებული მედიკამენტებით. პროგრამის დაწყებიდან 2021 წლის 1 მაისამდე, გამოკვლეულია 2,3 მლნ ბენეფიციარი, მკურნალობაში ჩაერთო 74 ათასზე მეტი და დაასრულა 70 ათასზე მეტმა პირმა, მიღწეულია უპრეცედენტო შედეგი – სრულად განიკურნა დაავადებულთა 98,9%, გადარჩა 68 ათასი ადამიანის სიცოცხლე. საქართველო C-ჰეპატიტთან ბრძოლაში გლობალურ ლიდერადაა აღიარებული. ხონის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 1 577 პირი (311 811 ლარი). **ხონის მუნიციპალიტეტიდან მკურნალობასა და სადიაგნოსტიკო კვლევებში ჩართული იყო 834 პირი, დაიხარჯა – 178 684 ლარი.**

2012 წლის შემდეგ, **ხონის მუნიციპალიტეტის** მოსახლეობისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა **სამედიცინო მომსახურების დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში,** მათ შორის: ფსიქიკური ჯანმრთელობის, დიაბეტის მართვის, დიალიზის და თირკმლის ტრანსპლანტაციის, იშვიათი დაავადებების მქონე და მუდმივ ჩანაცვლებით მკურნალობას დაქვემდებარებულ პაციენტთა მკურნალობის, პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის, რეფერალური მომსახურების პროგრამების დაფინანსება. **რეფერალური მომსახურების პროგრამის განვითარების შედეგად,** გაიზარდა სტიქიური უბედურებების, კატასტროფების, საგანგებო სიტუაციების, კონფლიქტურ რეგიონებში დაზარალებულ მოქალაქეთა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრული სხვა შემთხვევების დროს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების მიწოდება. **ხონში, 2013**-2021 წლებში, სულ 290 შემთხვევა 485 634 ლარით დაფინანსდა.

2013 წლიდან ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის განახლებული ქსელის მოწყობა. პირველადი ჯანდაცვისა და სოფლის ექიმის როლის გაძლიერების მიზნით, 2014 წლიდან სახელმწიფოს სრული კომპეტენცია გახდა **„სოფლის ექიმის“ პროგრამის** მართვა. 2014 წლის მაისიდან 30%-ით გაიზარდა **სოფლის ექიმებისა და ექთნების ხელფასი;** 2019 წელს „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე სოფლის ექიმები/ექთნები გადავიდნენ სსიპ საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მართვაში, სახელმწიფო აფინანსებს მათი საქმიანობისათვის აუცილებელ ხარჯებს. მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირად დარეგისტრირების შემთხვევაში, სოფლის ექიმები/ექთნები თავისუფლდებიან საშემოსავლო გადასახადისგან. **ხონის მუნიციპალიტეტს 36 სოფლის ექიმი და ექთანი ემსახურება.**

2019 წელს, ხონის მუნიციპალიტეტში, დასრულდა ამბულატორიების სრული/ნაწილობრივი რეაბილიტაცია სოფლებში: ივანდიდი (22 524 ლარი), მათხოჯი (23 553 ლარი), გორდი (25 847 ლარი), კუხი (23 049 ლარი), ქუტირი (20 780 ლარი), ძეძილეთი (22 553 ლარი). ამბულატორიები აშენდა სოფლებში: ახალშენსა (80 845 ლარი) და ახალბედისეულში (83 185 ლარი). 2017 წელს დასრულდა ქ. ხონში სასწრაფო სამედიცინო სამსახურის შენობის მშენებლობა (125542,7 ლარი).

2013 წელთან შედარებით, 3,2-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 235,9 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 75,0 ათასი ლარი იყო.

მუნიციპალიტეტმა, 2012-2021 წლებში, ჯანდაცვის სფეროში განახორციელა/ხორციელდება 13 პროგრამა/ქვეპროგრა. მათ შორის, მხოლოდ 2020-2021 წლებში, ჯანდაცვის მუნიციპალური პროგრამებით – ინფექციური დაავადებების ეპიდზედამხედველობა; იმუნიზაცია; მალარიის, ტუბერკულოზის; ცხოვრების ჯანსაღი წესის, სოფლის ექიმის პროგრამა. C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამა. ახალი კორონავირუსის COVID-19-პროგრამა. კიბოს სკრინინგი – 216 000 ლარით 20 000-ზე მეტი ბენეფიციარი დაფინანსდა. მომდევნო წლებში მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად ზრდის საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამებზე მიმართულ თანხებს.

ხარისხიანი და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად:

- გაიზრდება მოსახლეობის ხელმისაწვდომობა ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის სერვისებსა და სამკურნალო საშუალებებზე;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დასაქმებული პერსონალის შრომის ანაზღაურება და უწყვეტ განათლებაზე ხელმისაწვდომობა;
- განხორციელდება ეფექტიანი სახელმწიფო პროგრამები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და პრიორიტეტულ სფეროებში მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სამედიცინო მომსახურების მისაწოდებლად;
- გაიზრდება ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება ჯანდაცვის სფეროს უმთავრესი პრიორიტეტის – პირველადი ჯანდაცვის სისტემის რეფორმის მომდევნო ეტაპი. გაიზრდება სისტემის „მეკარიბჭის“ ფუნქცია – უზრუნველყოფილი იქნება მოსახლეობის ავადობის ადრეული გამოვლენა და შეკავება;
- გაიზრდება სოფლის ექიმისა და ოჯახის ექიმის როლი და მნიშვნელობა;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ჯანმრთელობის დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამები;
- განხორციელდა/განხორციელდება ახალ კორონა ვირუსთან ბრძოლისა და საპრევენციო ღონისძიებები. სავარაუდო ბიუჯეტი – 13 000,0 ლარი

სოციალური დაცვა

2012 წლის შემდეგ, 2,7-ჯერ – 1,7 მილიარდიდან 4,7 მილიარდ ლარამდე გაიზარდა სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება.

2012 წლის შემდეგ, ეტაპობრივად გაიზარდა სახელმწიფო პენსიის ოდენობები: 2012 წლისათვის **საპენსიო ასაკის პირთა პენსია** 100 ლარი იყო, 2020 წლის იანვრიდან 2,2-ჯერ მეტი – 220 ლარი, **70 წლის და მეტი ასაკის მოქალაქეთა პენსია** – 250 ლარი; 2021 წლიდან პენსიის ოდენობა 240 ლარით განისაზღვრა, 70 წელს გადაცილებულთა კი -275 ლარით. 2016 წლიდან განისაზღვრა პენსიის დანამატი **მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეებისათვის**, რაც შეადგენს ასაკით პენსიის ოდენობის 20%-ს (264 ლარის ნაცვლად 288 ლარი, ხოლო მთაში მცხოვრები 70 წლის და მეტი ასაკის პენსიონერი – 330 ლარი). დანამატს იღებენ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სოციალური პაკეტის მიმღები პირები (დანამატი – სოციალური პაკეტის 20%). 2017 წლის იანვრიდან გათვალისწინებულია მაღალმთიანი აბონენტის (საყოფაცხოვრებო მომხმარებლის) მიერ მაღალმთიან დასახლებაში მოხმარებული ელენერგიის ყოველთვიური საფასურის 50%-ის ანაზღაურება (არა უმეტეს 100 კვტ/სთ). **ხონის მუნიციპალიტეტში** სახელმწიფო პენსიის მიმღებია (01.04. 2021 წ. მდგომ.) 5 639 პირი. 2012 წლის შემდეგ 2,2-ჯერ – 7 110 624-დან 15 317 128 ლარამდე გაიზარდა პენსიების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში (01.04. 2021 წ. მდგომ.) სულ 98 315 156 ლარი დაიხარჯა.

სახელმწიფოს წინაშე განსაკუთრებული სამსახურის გავლის, აგრეთვე ამ პირთა მიერ შესაბამისი ასაკის მიღწევის, **შესაძლებლობის შეზღუდვისა** და **გარდაცვალების გამო** გასაცემი კომპენსაციის ოდენობა. **ხონში,** სახელმწიფო კომპენსაციის მიმღები (01.04. 2021 მდგომ.) 173 პირია. 2012 წლის შემდეგ, კომპენსაციებზე გაწეული ხარჯი 4-ჯერ – 217 718-დან 866 156 ლარამდე გაიზარდა, 2013-2021 წლებში, სულ სახელმწიფო კომპენსაციებზე 5 846 208 ლარი გაიცა.

მოსახლეობის მიზნობრივი ჯგუფების სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახები უზრუნველყოფილნი არიან მიზნობრივი სოციალური დახმარებით – საარსებო შემწეობით. პროგრამით ასევე გაიცემა: ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ახალშობილის შვილადაყვანის გამო დახმარების, ლტოლვილთა და დევნილთათვის შემწეობების, შრომითი მოვალეობის შესრულებისას მიყენებული ზიანის ანაზღაურება და სხვ.

ხონის მუნიციპალიტეტში, (01.04.2021წ. მონაცემები.) სოციალური დახმარებით უზრუნველყოფილი **სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი** 1616 ოჯახია. 2012 წლის შემდეგ, 2 486 ათასიდან 3 296 ათას ლარამდე გაიზარდა საარსებო შემწეობაზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, **საარსებო შემწეობაზე** სულ დაიხარჯა 32 543 ათასი ლარი, მათ შორის პენსიონერებზე – 8 908 ათასი ლარი, შშმ პირებზე – 3 236 ათასი ლარი, ბავშვებზე – 9 302 ათასი ლარი. **შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები და სხვა სოციალურ კატეგორიებს მიკუთვნებული პირთა წრე** ყოველთვიურად უზრუნველყოფილია სოციალური პაკეტით – ხონში, სოციალური პაკეტით სარგებლობს 1 412 მიზნობრივი ჯგუფი (01.04.2021 წ. მდგომ.), 2012 წლის შემდეგ, გაწეული ხარჯი 5,8-ჯერ – 393 024-დან 2 263 295 ლარამდე გაიზარდა. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 14 537 595 ლარი.

ხონის მუნიციპალიტეტში 1 070 დევნილია. 2012 წლის შემდეგ, 277 004-დან 606 780 ლარამდე გაიზარდა შემწეობებზე გაწეული ხარჯი. 2013-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 4 286 649 ლარი (01.04.2021 წ. მდგომ.). **დევნილებზე** ზრუნვა, მათი განსახლება და სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. 2013 წლიდან, განსახლების კრიტერიუმების შესაბამისად, დევნილებს ახალაშენებულ კორპუსებში ბინები და სოფლად სახლები გადაეცემათ. 2013 წლიდან (07.2021 წ. მონაც.), საქართველოს მასშტაბით, განსახლების პროგრამებით, საცხოვრებელი ფართი 23 068-მდე დევნილ ოჯახს გადაეცა, მათგან **ხონის მუნიციპალიტეტში** დაკმაყოფილდა 68 დევნილი ოჯახი, მათ შორის: 79 ოჯახს გადაეცა ბინა ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ კორპუსებში, პროექტით „სოფლად სახლი“ სახელმწიფომ სახლი 39 ოჯახს შეუსყიდა; სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ფართობი 129 ოჯახს დაუკანონდა. საქართველოს მასშტაბით, 2021 წლის ბოლომდე, დამატებით, 1 359 დევნილი ოჯახი განსახლდება. ასევე გრძელვადიანი საცხოვრებლით სახელმწიფომ, საქართველოს მასშტაბით, 1997 **ეკომიგრანტი ოჯახი** დააკმაყოფილა: 2013-2021 წ.წ. 667 ოჯახს დაუკანონდა საცხოვრებელი ფართი და მიწის ნაკვეთი, 386 დაკანონების პროცესშია. **დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობის პროგრამით** (მესამე და მომდევნო ბავშვი), **ხონში,** დაფინანსებულია 114 ბენეფიციარი (1.04.2021 წ. მდგომ.), 2016-2021 წლებში, სულ დაიხარჯა 1 103 750 ლარი, მათ შორის, 2020 წელს – 189 300 ლარი.

ახალი კორონავირუსის გლობალურ გამოწვევასთან სწრაფად და ეფექტიანად გამკლავების მიზნით, სოციალური დაცვის მიმართულებით გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები, კერძოდ: სახელმწიფო გასაცემლების უწყვეტად გაცემა, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის იურიდიული ძალის შენარჩუნება და სოციალური პაკეტის უწყვეტად გაგრძელება, იანვრიდან შეჩერებული საარსებო შემწეობების განახლება და სხვ. **ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, მოსახლეობის სოციალური დახმარების მიზნით,** 2020-2021 წ.წ, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოიყო 193 014 865 ლარი. **სახელმწიფო დახმარების მიღების უფლება 6 თვის ვადით მოიპოვეს:** სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებულმა (65001-100000 ქულა) ოჯახებმა, წევრთა რაოდენობის შესაბამისად **(1-წევრიანი – 70 ლ; 2-წევრიანი – 90 ლ; 3 და მეტი წევრი, თითოეულზე – 35 ლ).** პროგრამაში, 2020 წელს, ხონის მუნიციპალიტეტში, ჩართული იყო 1 124 ოჯახი (06.2021 წ. მდგომ.) – 1180. **ყოველთვიური დახმარება (თვეში 100 ლარი)** განისაზღვრა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 100 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებისთვისაც, რომელთაც ჰყავთ 3 ან მეტი 16 წლის ჩათვლით ასაკის შვილი. პროგრამით მუნიციპალიტეტში, 2020 წელს ისარგებლა 200-მა პირმა, 2021 წელს (06.2021 წ. მონაცემ.) – 207-მა. **მკვეთრად გამოხატული შშმ პირები და 18 წლამდე შშმ ბავშვებისთვის,** სოციალური პაკეტის დახმარებასთან ერთად, დამატებით 100 ლარი (6 თვით) – პროგრამაში, 2020 წელს, ჩაერთო 308 პირი (2021 06.2021 წ. მონაცემ.) – 309.

„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივ სახელმწიფო პროგრამას, საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ახორციელებს სს(ი)პ დასაქმების სახელწიფო სააგენტო, რომელსაც დაევალა კომპენსაციების გაცემა იმ დასაქმებულ/თვითდასაქმებულთათვის, ვინც პანდემიის შედეგად სამსახური ან შემოსავალი დაკარგა. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის კომპენსაციის ოდენობა თვეში 200 ლარი 6 თვით,** გაიცა ორ ეტაპად: I ეტაპი – 2020 წლის მაისიდან დაიწყო და 162 271-მა პირმა მიიღო 131 237 800 ლარი; II ეტაპი – 2021 წლის იანვრიდან 157 638-მა პირმა მიიღო 141 947 400 ლარი. **ერთჯერადი 300-ლარიანი კომპენსაცია** მიიღო 248 867-მა ფორმალურმა/არაფორმალურმა თვითდასაქმებულმა, ჯამში, 74 660 000 ლარი. 2020 წლის 4 დეკემბრიდან დაიწყო ერთჯერადი, 300-ლარიანი კომპენსაციების გაცემის მეორე ტალღა იმ პირებისთვის, ვისაც შეეხო შეზღუდვები, დაკარგეს შემოსავალი ან შეუჩერდათ ეკონომიკური საქმიანობა – 121 634 პირზე ჯამში გადაირიცხა 36 490 200 ლარი. **დაქირავებით დასაქმებულებისთვის, რომლებმაც დაკარგეს სამსახური ან იყვნენ უხელფასო შვებულებაში,** დაწესდა ფინანსური დახმარება 1200-ლარიანი კომპენსაციით (6 თვე, თვეში – 200 ლ). ახალი კორონავირუსით გამოწვეული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, სოციალური დახმარების მიზნით, კომპენსაცია ჯამში მიიღო: 2020 წელს – 162 271-მა პირმა (131 237 800 ლ), 2021 წელს – ჯამში გაიცა 141 909 200 ლარის კომპენსაცია.

2013 წელთან შედარებით 3,1-ჯერ გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 747,3 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 238,0 ათასი ლარი იყო.

2013 წელთან შედარებით გაიზარდა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება. 2020 წელს სოციალური დაცვის ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 721,4 ათასი ლარი შეადგინა, 2013 წლის შესაბამისი მაჩვენებელი კი 474,0 ათასი ლარი იყო.

მუნიციპალიტეტში, 2012-2021 წლებში, სოციალური დაცვის სფეროში, განხორციელდა/ხორციელდება 22 პროგრამა, მათ შორის: სოციალური (ერთჯერადი) დახმარება; სამედიცინო მომსახურების ხარჯების დაფინანსება/თანადაფინანსება; დედ-მამით ობოლ სტუდენტთა ერთჯერადი ფულადი დახმარება; შშმ პირთა დახმარება; მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფულადი დახმარება; ომის ვეტერანთა დახმარება; სტიქიით დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება; ძალადობის მსხვერპლის ბინის ქირით უზრუნველყოფა და სხვ. ბოლო წლებში, გატარდა მთელი რიგი ცვლილებები, კერძოდ, **მუნიციპალიტეტი დააფინანსებს:** სახელმწიფო მზრუნველობიდან ბიოლოგიურ ოჯახში რეინტეგრირებულ ბავშვთა ოჯახებს (ერთჯერადად – 1500 ლ); შშმ 15 წლამდე ასაკის ცერებრალური დამბლით დაავადებულთა საკურორტო-სარეაბილიტაციო მომსახურებას (ერთჯერადად 300 ლ) და 3.0-დან 7 წლამდე აუტისტური სპექტრის ბავშვთა რეაბილიტაციას (ყოველთვიურად 200 ლ).

სამართლიანი, გამჭვირვალე და ეფექტიანი სოციალური დაცვის სისტემის ფუნქციონირების, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და დასაქმების უზრუნველყოფის მიზნით:

- შეიქმნება მდგრადი, ეფექტიანი, კოორდინირებული სოციალური დაცვის სისტემის საკანონმდებლო გარანტიები;
- გაუმჯობესდება დასაქმებისა და სოციალური გასაცემლების სისტემა;
- გაიზრდება სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების ხარისხი და ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;
- გაიზრდება სოციალური სერვისების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა;
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტის საპენსიო ასაკის პირთა პენსიით უზრუნველყოფა კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, რაც ითვალისწინებს სახელმწიფო პენსიის ინდექსაციას და უზრუნველყოფს საპენსიო ასაკის მოსახლეობისათვის სოციალური გარანტიების შექმნას;
- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი ოჯახები კვლავ უზრუნველყოფილი იქნებიან საარსებო შემწეობით;
- გაგრძელდება მიზნობრივი ჯგუფებისათვის სოციალური პაკეტის გაცემა;
- გაგრძელდება დემოგრაფიული მდგომარეობის ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება;
- გაიზრდება სოციალური დაცვის სახელმწიფო პროგრამების მიზნობრიობა და ეფექტიანობა ადგილობრივი ხელისუფლების ჩართულობით;
- განხორციელდება შრომის უსაფრთხოებისა და დასაქმების ეფექტიანი პოლიტიკა;
- შეიქმნება/დაიხვეწება და განვითარდება საქართველოში შრომითი მიგრაციის მარეგულირებელი კანონმდებლობა; გაჩნდება და დაიხვეწება შრომითი მიგრანტების (ემიგრანტები/იმიგრანტები) უფლებების დაცვის გამართული და ქმედითი მექანიზმები;
- გაგრძელდება ცირკულარული შრომითი მიგრაციის სფეროში გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ დროებით ლეგალურად დასაქმების ხელშეწყობა.
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან სოციალური დაცვის სფეროს დაფინანსება;
- დაიხვეწება და გაფართოვდება სოციალური სფეროს მუნიციპალური პროგრამები.

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲔᲡᲘ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐ. 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲤᲣᲜᲓᲐᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲨᲔᲘᲥᲛᲜᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲛᲓᲒᲠᲐᲓᲝᲑᲘᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲛᲧᲝᲤᲝᲕᲐᲜᲘ ᲡᲐᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝ ᲒᲐᲠᲐᲜᲢᲘᲔᲑᲘ, ᲓᲐᲘᲮᲕᲔᲬᲐ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲛᲓᲔᲑᲚᲝᲑᲐ, ᲓᲐᲓᲒᲘᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲘᲜᲔᲠᲒᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲔᲑᲘ.

ქᲐᲚᲐᲥᲘᲡ №2 ᲡᲐᲑᲐᲕᲨᲕᲝ ᲑᲐᲦᲘ

განათლებისა და მეცნიერების სფეროში გადადგმული თითოეული ნაბიჯი გრძელვადიან პერსპექტივაზეა გათვლილი. ამის დასტურია ის, რომ **2012 წელთან შედარებით, მნიშვნელოვნად, 2,5-ჯერ გაიზარდა განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება. 4-ჯერ გაიზარდა სკოლამდელი განათლების, თითქმის 2-ჯერ – ზოგადი განათლების, 5,3-ჯერ – პროფესიული განათლების და 2-ჯერ – უმაღლესი განათლების ბიუჯეტი. მასწავლებლის საბაზო ხელფასის ზრდამ – 65%, ხოლო საშუალო ხელფასის – 120%-შეადგინა. 600 000-მდე მოსწავლე უზრუნველყოფილია სასკოლო სახელმძღვანელოებით.** 2019 წლის 1 ოქტომბრიდან დაიწყო საჯარო სკოლებისა და საბავშვო ბაღების პედაგოგთა ხელფასების ზრდა და ეს პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება.

2013-2020 წლებში, საქართველოში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა **მშენებლობა-რეაბლიტაციისა და აღჭურვის** მიზნით 427 მლნ 789,3 ათასი ლარი დაიხარჯა. მათ შორის, 2017-2020 წლებში – 289 მლნ 137,8 ათასი ლარი.

2012-2020 წ.წ. დასრულებულია 68 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, დასრულებულია 140-მდე სკოლის **სრული რეაბილიტაცია**, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 91 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 1300-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას.

2017-2020 წლებში დასრულებულია 42 საჯარო სკოლის (მათ შორის, 19 მცირეკონტინგენტიანი საჯარო სკოლა) სამშენებლო სამუშაოები და მიმდინარეობს 4 ახალი საჯარო სკოლის მშენებლობა, ამასთან, მიმდინარე წელს იგეგმება დამატებით 2 ახალი სკოლის მშენებლობის დაწყება. დასრულებულია 83 სკოლის სრული რეაბილიტაცია, მათ შორის „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოსა“ და სსიპ – საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ სრულად რეაბილიტირდა 41 საჯარო სკოლა, ნაწილობრივ სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 500-ზე მეტ საჯარო სკოლის შენობას;

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსებით, საჯარო სკოლებში ფუნქციონირებს **608 სამედიცინო** კაბინეტი (სკოლის ექიმი). საჯარო სკოლებში დასაქმებულია **145 ფსიქოლოგი**.

„ქართულმა ოცნებამ“ ფუნდამენტური ცვლილებები განახორციელა **პროფესიული განათლების** სისტემის განსავითარებლად. 2013 წლიდან დღემდე პროფესიული განათლების განვითარებისთვის სახელმწიფომ, ჯამში, 300 მილიონ ლარზე მეტი გამოყო, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების მშენებლობა/რეაბილიტაცია/აღჭურვის მიზნით დაიხარჯა 100 მლნ ლარზე მეტი. დაფუძნდა 8 ახალი პროფესიული დაწესებულება და არსებულ ქსელს დაემატა 16 ახალი ლოკაცია. ყველა სახელმწიფო კოლეჯს ჩაუტარდა სრული ან ნაწილობრივი რეაბილიტაცია, აშენდა 2 ახალი საერთო საცხოვრებელი. 10-ზე მეტ პროფესიულ დაწესებულებას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, მათგან 4 კოლეჯში რეაბილიტაცია განხორციელდა უნივერსალური დიზაინის ნორვეგიული სტანდარტის შესაბამისად. 14 პროფესიულ დაწესებულებაში მოეწყო ინოვაციური ლაბორატორიები (FABLAB). 2021 წელს საკვალიფიკაციო ან/და მომზადება/გადამზადების პროგრამებზე სტუდენტს/მსმენელებს პირველად მიიღებენ ახლად განვითარებული კოლეჯები/ფილიალები კასპში, მარნეულში, დუშეთში, ჩოხატაურში (გორაბერეჟოული), ქედაში, ფოთსა და შუახევში. მიმდინარეობს დამატებით 5 პროფესიული დაწესებულების/ფილიალის სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც სამშენებლო და სატრანსპორტო მიმართულებებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კადრებს მოამზადებენ. 2018 წელს დამტკიცდა ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“, რომელმაც შესაძლებელი გახადა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან კიდევ უფრო მეტად დაახლოება. რეფორმის ფარგლებში, გაიზარდა ვაუჩერული დაფინანსება; ჩამოყალიბდა პროფესიული განათლების მართვის ახალი მოდელი, რომელიც კიდევ უფრო გააძლიერებს კერძო სექტორის ჩართულობას პროფესიულ განათლებაში; დაინერგა ინტეგრირებული პროგრამები, რომელთა გავლის შემდეგ საბაზო (9 კლასი) განათლების მქონე პირი სრული ზოგადი განათლების ატესტატთან გათანაბრებულ დიპლომს მიიღებს; შეიქმნა ზრდასრულთა მომზადება-გადამზადების შესაძლებლობა, რაც დააკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს; გაძლიერდა ინკლუზიური პროფესიული განათლება და სხვ.

2012 წლის შემდეგ, 2,1-ჯერ, გაიზარდა **უმაღლესი განათლების** დაფინანსება. **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სტუდენტთა მხარდაჭერის მიზნით:** სახელმწიფო სასწავლო და სამაგისტრო გრანტებით ყოველწლიურად სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება 30 000-მდე სტუდენტი; გაიზარდა სოციალური პროგრამებისა და მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტთა მხარდაჭერის (სტიპენდიების) პროგრამის დაფინანსება; სოციალური პროგრამებით, ყოველწლიურად, ფინანსდებიან სტუდენტები უმაღლესი განათლების I-II საფეხურებზე (წლიური ბიუჯეტი 2 მლნ 725 ათასი ლარი); დაფინანსება გამოეყოფათ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლას აგრძელებენ ერთიანი ეროვნული/სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე (წლიური ბიუჯეტი – 285 ათასი ლარი); სახელმწიფო აგრძელებს გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში დაზარალებული სტუდენტების სწავლის დაფინანსებას (პროგრამის ბიუჯეტი – 5 მლნ ლარი); გაიცემა სახელმწიფო სტიპენდიები წარმატებული სტუდენტებისთვის (პროგრამის ბიუჯეტი – 4,7 მლნ ლარი); დაფინანსებას მოიპოვებენ სტუდენტები, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული უმაღლესი განათლების აღიარების საფუძველზე სწავლას აგრძელებენ საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში (პროგრამის ბიუჯეტი – 20 ათასი ლარი); ყოველწლიურად ფინანსდება და, 2014-2019 წლებში, 800-ზე მეტი სასწავლო სტიპენდია გაიცა წარმატებული ახალგაზრდების მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებში სწავლისათვის. 2016 წლიდან ამოქმედდა და სახელმწიფოს მიერ სრულად ფინანსდება მასწავლებლის მომზადების 60-კრედიტიანი პროგრამები. 2019 წლიდან ამოქმედდა სკოლის შემდგომი განათლებისათვის მომზადების პროგრამა. პროგრამაზე ჩარიცხვის უფლებით, დადგენილი წესის შესაბამისად, სარგებლობენ ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები პირები, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ირიცხებიან საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, სახელმწიფო აფინანსებს მათი სწავლის საფასურს. 2019 წლიდან მსჯავრდადებულებს, რომლებიც წარმატებით ჩააბარებენ ერთიან ეროვნულ/სამაგისტრო გამოცდებს, შესაძლებლობა აქვთ ისწავლონ შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

2012 წლის შემდეგ, 80%-ით გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტით **მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების** ხელშეწყობის დაფინანსება. 2015 წლიდან სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების დაფინანსება 2-ჯერ, ხოლო მეცნიერთა ხელფასები, საშუალოდ, 3-ჯერ გაიზარდა. სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტებისათვის ამოქმედდა პროგრამული დაფინანსების მექანიზმი და სადღეისოდ ფინანსდება 47 კვლევითი ინსტიტუცია.

ᲡᲙᲝᲚᲐᲛᲓᲔᲚᲘ ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია. ხონში ფუნქციონირებს 20 მუნიციპალური საბავშვო ბაღი (3 – ქ. ხონში, 17 – სოფლად).

2013 წლის შემდეგ საქართველოს მასშტაბით საბავშვო ბაღები გახდა უფასო. მნიშვნელოვნად გაიზარდა, ხონში, ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების დაფინანსება. 2020 წელს განათლების სფეროს ხარჯებმა და არაფინანსური აქტივების ზრდამ 2 მლნ 125 ათასი ლარი შეადგინა, მათ შორის, 984 ათასი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების მიმართულებით, 2013 წელს კი შესაბამისი მაჩვენებელი 410 ათასი ლარი იყო.

2014-2021 წლებში განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, მათ შორის: **2014 წელს** – პატარა ჯიხაიშში საბავშვო ბაღის შენობების რემონტი (15,3 ათასი ლარი), ჩაის მეურნეობაში ბაგა-ბაღის შენობის შეკეთება (16,3 ათასი ლარი); **2015 წელს –** ახალი საბავშვო ბაღები აშენდა სოფ. დედალაურში (151, 2 ათასი ლარი), ახალბედისეულში (144,7 ათასი ლარი), ძეძილეთში (120, 1 ათასი ლარი). **2016 წელს** აშენდა საბავშვო ბაღი სოფელ გუბში (194 ათასი ლარი). **2017 წელს** შემოიღობა სოფ. გუბის საბავშვო ბაღის ტერიტორია (11,5 ათასი ლარი). **2018 წელს** განხორციელდა ხონის №1 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (304, 8 ათასი ლარი); სოფელ გოჩა ჯიხაიშის საბავშვო ბაღის შენობის რეაბილიტაცია – 75,9 ათასი ლარი; **2019 წელს** განხორციელდა სოფ. გორდის საბავშვო ბაღის ნაწილობრივი რეაბილიტაცია და ბაღის ტერიტორიის შემოღობვა, სოფ. მათხოჯის საბავშვო ბაღის ნაწილობრივი რეაბილიტაცია.

2020 წელს განხორციელდა ქ. ხონის №2 საბავშვო ბაღის სრული რეაბილიტაცია, სამუშაოები ლტოლვილთა დანიის საბჭომ და გერმანიის მთავრობამ 200 ათასი ევროთი დააფინანსეს.

2020-2021 წლებში სველი წერტილებისა და სამზარეულოების რეაბილიტაცია განხორციელდა ქ. ხონის №3, სოფ.მათხოჯის, ნახახულევის, კონტუათის, ნამაშევის, ივანდიდის, ქუტირის, კუხის საბავშვო ბაღებში (ჯამში, 417,8 ათასი ლარი).

შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2021 წელს, 2013 წელთან შედარებით, საბავშვო ბაღებში **აღსაზრდელთა რაოდენობა** 650-დან 851-მდე გაიზარდა. 2,18 ლარამდე გაიზარდა საბავშვო ბაღებში **კვების თანხა** თითოეულ აღსაზრდელზე, სრულფასოვანი გახდა ბავშვთა კვების რაციონი. **სასკოლო მზაობის პროგრამა** დანერგილია 3 საბავშვო ბაღის 4 ჯგუფში. პროგრამაში ჩართულია სასკოლო ასაკის 101 ბავშვი და 8 პედაგოგი. სულ სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებულია 74 **აღმზრდელ-პედაგოგი.** საბავშვო ბაღებს 20 ექიმი/ექთანი, 6 ფსიქოლოგი, 10 ლოგოპედი და 33 აღმზრდელის თანაშემწე (ძიძა) ემსახურება.

ᲖᲝᲒᲐᲓᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 25 საჯარო სკოლა (ქალაქში – 4, სოფლად – 21, მათგან 1 – მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე სოფელში). სკოლებში 2792 მოსწავლე, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, 467 მასწავლებელია (მათ შორის 20 სპეციალური მასწავლებელი). მულტიდისციპლინური გუნდის მიერ, 2020 წლის მაისის მდგომარეობით, იდენტიფიცირებულია 47 სსსმ მოსწავლე. ექიმის კაბინეტი ფუნქციონირებს 4 საჯარო სკოლაში.

2013-2021 წლებში, ზოგადი განათლების სფეროში, საქართველოს განათლე-

ბისა და მეცნიერების სამინისტრომ, ხონის მუნიციპალიტეტში, განხორციელდა სხვადასხვა პროგრამები, მათ შორის: 2019 წელს, **ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამით**, ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში, ქ. ხონის №3 საჯარო სკოლას 32 ლეპტოპი გადაეცა. 2017-2019 წლებში, **სასწავლო აქტივობების ხელშეწყობის პროგრამით,** 43 სასკოლო პროექტი დაფინანსდა, 2017-2018 წლებში – 80 პროექტის განხორციელებას შეეწყო ხელი. 2018-2019 წლებში, **ოპტიკური კავშირითა და მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით** საჯარო სკოლების აღჭურვის 37, ხოლო **რადიოტექნოლოგიითა და გაუმჯობესებული კავშირის სიჩქარით** უზრუნველყოფის 15 პროექტი განხორციელდა, **კორპორატიული სტანდარტის უსადენო ქსელით** 1 საჯარო სკოლა აღიჭურვა. **მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში** 12 სკოლის (27 მიმართულება) 530 მოსწავლეა ჩართული (2019-2020 ს/წ მონაცემები). **ოპერირებისა და მოვლა პატრონობის პროგრამა** („ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია“) ხორციელდება ხონის 1 საჯარო სკოლაში. 2017-2020 წლებში, საჯარო სკოლებს, ჯამში, 901 **სასკოლო ჟურნალი და** 63 462 **სახელმძღვანელო** უსასყიდლოდ გადაეცათ. 2013-2019 წლებში, პირველკლასელებს საჩუქრად 1686 კომპიუტერი გადაეცათ (**2017-2019 წლებში** – 843), კლასის დამრიგებლებს – 117 (2017-2019 წლებში – 32), ხოლო 147 – წარჩინებულ მოსწავლეს (78 – 2017-2019 წ.წ.). ამავე პერიოდში, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, ჯამში, 172 **ოქროსა და ვერცხლის** მედალოსანი გამოვლინდა (მათ შორის, 2018-2019 წლებში, 42 ოქროსა და 19 ვერცხლის მედალოსანი).

ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამით, 2013-2021 წლებში, ხონის მუნიციპალიტეტში, საჯარო სკოლების ნაწილობრივი რეაბილიტაციის 50 პროექტი განხორციელდა. იმავე პერიოდში, საჯარო სკოლების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სასკოლო ავეჯით, სპორტული ინვენტარითა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვის 33 პროექტი განხორციელდა.

2013 წელს ნაწილობრივი რეაბილიტაცია ჩაუტარდა 19 საჯარო სკოლას, რაზეც სულ 989,8 ათასი ლარი დაიხარჯა. **2014 წელს** განხორციელდა 4 საჯარო სკოლის ნაწილობრივი რეაბილიტაცია, მათ შორის, ხონის №1 საჯარო სკოლაში – გაზიფიცირება (სულ 623,4 ათასი ლარი). **2015 წელს** 6 საჯარო სკოლის (ივანდიდის, ხონის №1, №2, №3, №4 და ჩაის მეურნეობის) ნაწილობრივი რეაბილიტაცია, მათ შორის 2 საჯარო სკოლაში (ხონის №1 და №2) გათბობის სისტემის რეაბილიტაცია სულ 841,7 ათასი ლარით დაფინანსდა. **2016 წელს** ივანდიდის საჯარო სკოლაში მოეწყო სამედიცინო ოთახი, ხოლო ხონის №4 სკოლაში განხორციელდა გათბობის სისტემის რეაბილიტაცია (სულ 92,8 ათასი ლარი). **2017 წელს** 3 საჯარო სკოლის (ხონის №3, გუბისა და მათხოჯის) ნაწილობრივი რეაბილიტაცია და გორდის საჯარო სკოლის პროექტირება განხორციელდა. **2017 წელს** სოფ. გუბის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია 134,7 ათასი ლარით, მათხოჯის სკოლის რეაბილიტაცია 40 ათასი ლარით დაფინანსდა. **2018 წელს** დასრულდა: სოფელ გუბის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (134,7 ათასი ლარი); სოფ. გუბის საჯარო სკოლაში შშმ პირებისათვის დამონტაჟდა ლიფტის ძაბვის საფეხური და შეიცვალა ფაზანოლიანი მრიცხველი სამფაზიანით (800 ლარი); შეკეთდა გორდის საჯარო სკოლის სახურავი (3,7 ათასი ლარი); ქ. ხონის №3, ჩაის მეურნეობისა და ქუტირის საჯრო სკოლებში ჩატარდა სხვადასხვა ტიპის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით, 2019 წელს, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების რეაბილიტაციის 10 პროექტის განხორციელებაზე, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 364,5 ათასი ლარი დაიხარჯა. რეაბილიტაცია განხორციელდა ხონის №1, №2, №4, სოფ. ხიდის, კუხის, ივანდიდისა და გუბის საჯარო სკოლებში, სადაც მოეწყო სანიტარული კვანძები, სპორტული დარბაზები, შემოიღობა სკოლის ეზოები და სხვ.

იმავე წელს, MCC – ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის დაფინანსებით სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა ქ. ხონის №3 საჯარო სკოლას, განხორციელდა სკოლის ტერიტორიის კეთილმოწყობა, შემოღობვა (151,4 ათასი ლარი) და გაზიფიცირება (6,3 ათასი ლარი), საჭირო ინვენტარის შესაძენად კი 3,1 ათასი ლარი გამოიყო. ასევე სველი წერტილების რეაბილიტაცია განხორციელდა სოფ. ივანდიდის (43, 2 ათასი ლარი), ქ. ხონის №4 (23, 7 ათასი ლარი) და სოფელ კუხის (45, 7 ათასი ლარი) საჯარო სკოლებში; სპორტდარბაზების რეაბილიტაცია განხორციელდა სოფელ ივანდიდის (73, 5 ათასი ლარი), ქ. ხონის №2 (70, 6 ათასი ლარი) და ქ. ხონის №1 (37, 5 ათასი ლარი) საჯარო სკოლებში; სკოლის შემოღობვისა და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები განხორციელდა სოფ. გუბის (8 ათასი ლარი), ივანდიდისა (14, 4 ათასი ლარი) და ხიდის (5,3 ათასი ლარი) საჯარო სკოლებში.

2020 წელს, ინფრასტრუქტურის სამინისტროს სკოლების სახელმწიფო პროგრამით, 16 პროექტი განხორციელდა, რაზეც, ჯამში, 725,1 ათასი ლარი დაიხარჯა. პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, სველი წერტილების მოწყობა/რეაბილიტაციის 8 პროექტი განხორციელდა (ქ. ხონის №1 და №2, სოფლების: ქუტირი, ძეძილელეთი, ხიდი, კონტუათი, დედალაური, ნახახულევის საჯარო სკოლები), რაზეც, ჯამში, 386,7 ათასი ლარი დაიხარჯა. ქ. ხონში, ლტოლვილთა დანიის საბჭოსა და გერმანიის მთავრობის დაფინანსებით, აშენდა სათემო ცენტრი, რაზეც 250 ათასი ევრო დაიხარჯა. ქ. ხონის №3 საჯარო სკოლა MCC – ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მოვლა-პატრონობის პროგრამაში ჩაერთო. 2020-2021 სასწავლო წლისთვის, მუნიციპალიტეტში, 16 ადაპტირებული სკოლაა, ცენტრალური გათბობა კი 4 საჯარო სკოლაშია მოწყობილი.

2021 წელს, სკოლების სახელმწიფო პროგრამით დაფინანსდა და მიმდინარეობს: სოფელ ქუტირის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია (სპორტდარბაზში ხის იატაკის, კედლებისა და ჭერის რეაბილიტაცია, კარ-ფანჯრებისა და დამხმარე ოთახების სრული რეაბილიტაცია) და სოფელ კუხის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია.

პროფესიული განათლება

ხონის მუნიციპალიტეტში, თანამედროვე სტანდარტებისა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ახალი პროფესიული განათლების ცენტრის განვითარების მიზნით, დაიწყო სამუშაოები. ახალი სასწავლო ცენტრი სამინისტროს, ბიზნესსექტორისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის თანამშრომლობით განვითარდება. სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს სრულად აფინანსებს დამსაქმებელთა ასოციაცია, ხოლო სამინისტრო გამოყოფს რესურსს თანამედროვე სასწავლო გარემოს შესაქმნელად. სასწავლებელი სტუდენტებს ძირითადად სამშენებლო, ინჟინერიისა და სოფლის მეურნეობის მიმართულებებით, პროფესიულ პროგრამებს შესთავაზებს.

უმაღლესი განათლება

უმაღლესი განათლების ხელშეწყობის მიზნით, 2018 წლიდან **სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსება მოიცავს იმერეთის რეგიონის (ბაღდათი, საჩხერე, ტყიბული, წყალტუბო, ჭიათურა ხარაგაული და ხონი)** მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლების სკოლის კურსდამთავრებულებს, 2018-2019 ს/წელს იმერეთის რეგიონიდან დაფინანსდა 12 სტუდენტი, 2019-2020 ს/წელს – 12 სტუდენტი. 2020-2021 ს/წელს – 12 სტუდენტი.

ქალაქ ხონის №1 საჯარო სკოლა

„ქართული ოცნების“ უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტების – განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით განხორციელდება:

- საჯარო დაწესებულებებში ადრეული და სკოლამდელი განათლება დარჩება უფასო;
- გაიზრდება მუნიციპალიტეტის მხრიდან ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაფინანსება;
- გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდრატების დანერგვა და ყველასათვის ხელმისაწვდომი სკოლამდელი განათლების მომსახურების მიწოდება;
- გაგრძელდება საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია; საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება აღსაზრდელთა ტრანსპორტით მომსახურება;
- უწყვეტად გაგრძელდება სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მოდერნიზება, რაც უზრუნველყოფს ბავშვისთვის სკოლაში საჭირო მრავალმხრივი – აკადემიური, ფუნქციური, ქცევითი, ემოციური და სოციალური უნარების განვითარებას; განხორციელდება ღონისძიებები სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებზე მორგებული განათლების მომსახურების უზრუნველსაყოფად;
- მნიშვნელოვნად გაიზრდება ზოგადი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, გაიზრდება მასწავლებელთა და სკოლის ადმინისტრაციული პერსონალის შრომის ანაზღაურება;
- დამტკიცდება და დაინერგება ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის განახლებული სტანდარტები და პროცედურები, განხორციელდება მხარდამჭერი ღონისძიებები სტანდარტების დასაკმაყოფილებლად;
- რეფორმის ფარგლებში დაინერგება მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებული სწავლა-სწავლების პრინციპები;
- მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით განხორციელდება ხონში იდენტიფიცირებული 6-დან 16 წლამდე სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვების ოჯახებთან/ფაქტობრივ მეურვეებთან კომუნიკაცია ბავშვების განათლების უფლების უზრუნველყოფის მიზნით.
- გაგრძელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკოლების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტები, მათ შორის, დაგეგმილია სოფელ გორდის საჯარო სკოლის გამაგრება/სრული რეაბილტაცია;
- 2022 წლამდე დაგეგმილია მუნიციპალიტეტის რამდენიმე სკოლის სპორდარბაზის რეაბილიტაცია;
- ხონში დასრულდება თანამედროვე სტანდარტებისა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების განვითარება;
- გაიზრდება პროფესიული საგანმანათლებლო და მომზადება-გადამზადების პროგრამების ხელმისაწვდომობა, შემუშავდება პროფესიული განათლების მიღმა მყოფი მოწყვლადი ჯგუფების იდენტიფიკაციისა და პროფესიულ განათლებაში ჩართვის მექანიზმები;
- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, დაინერგება კვალიფიკაციების ახალი ჩარჩო, საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტორიზაციის ახალი სტანდარტები და პროცედურები, კრედიტების ახალი სისტემა და კერძო სექტორის მიერ/მონაწილეობით პროფესიული სტანდარტების შემუშავების წესი; ამოქმედდება პროფესიული განათლების მასწავლებლის შედეგებზე ორიენტირებული შრომის ანაზღაურების ახალი სქემა;
- გაიზრდება უმაღლესი განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, შემუშავდება უმაღლესი განათლების სისტემის დაფინანსების ახალი მოდელი, რომელიც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების მდგრად განვითარებასა და სასწავლო პროცესის სწავლის შედეგებზე ორიენტირებას;
- შემუშავდება და დამტკიცდება საქართველოში მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარების სტრატეგიული გეგმა, რომლის მთავარი მიზანი იქნება ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიული განვითარების მოთხოვნებსა და საზოგადოების საჭიროებებზე ორიენტირებული ინსტიტუციების განვითარების ხელშეწყობა.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

„ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ“ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 2012 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲛᲐ ᲛᲘᲐᲦᲬᲘᲐ ᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗᲘ ᲬᲘᲜᲘᲡᲕᲚᲐᲡ, ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ, ᲧᲕᲔᲚᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ. ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲔᲥᲪᲔᲕᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ, ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲐ-ᲞᲐᲢᲠᲝᲜᲝᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲐ-ᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲐᲡ, ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲐᲜᲡᲐᲦᲘ ᲬᲔᲡᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲑᲐᲡ. ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲢᲠᲐᲢᲔ�გᲘᲣᲚᲘ ᲛᲘᲖᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ.

ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲐ

ᲮᲝᲜᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘ: Ა(Ა)ᲘᲞ ᲮᲝᲜᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ, Ა(Ა)ᲘᲞ ᲮᲝᲜᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ, Ა(Ა)ᲘᲞ ᲮᲝᲜᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ ᲓᲐ Ა(Ა)ᲘᲞ ᲮᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ.

2013 ᲬᲔᲚᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ. 2020 ᲬᲔᲚᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲡ ᲮᲐᲠᲯᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲣᲠᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲖᲠᲓᲐᲛ 672 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲨᲔᲐᲓᲒᲘᲜᲐ. 2013 ᲬᲔᲚᲡ ᲙᲘ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲘ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ 358 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ.

2013-2020 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲩᲐᲠᲗᲣᲚᲝᲑᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐᲨᲘ. ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲔᲬᲧᲝᲑᲐ ᲙᲝᲛ�პᲚᲔᲥᲡᲣᲠᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘ, ᲘᲛᲐᲠᲗᲔᲑᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ, ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲔᲑᲘ, ᲔᲬᲧᲝᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲤᲔᲜᲔᲑᲘ, ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲡᲔᲑᲘ, ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢᲣᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘ, ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲚᲛᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲔᲑᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ.

2014-2021 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ-ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲠᲐᲔᲠᲗᲘ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ: 2014 ᲬᲔᲚᲘ – ᲮᲝᲜᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ (313,9 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ); ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ 2017 ᲬᲔᲚᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲓᲐ (ᲯᲐᲛᲣᲠᲐᲓ, 112,9 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ).

2015-2016 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ, Ა(Ა)ᲘᲞ ᲮᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲡᲘᲙᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐᲡ (ᲝᲠᲘ ᲔᲢᲐ�პᲘ), ᲯᲐᲛᲨᲘ, 217,5 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲓᲐ, ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲡᲪᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲔᲑᲐ-�გᲐᲮᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲢᲐᲟᲣ 105,9 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ;

2017 ᲬᲔᲚᲡ, Ქ. ᲮᲝᲜᲨᲘ, ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ (65,5 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ), ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ, 2018-2019 ᲬᲚᲔᲑᲨᲘᲪ �გᲐ�გᲠᲫᲔᲚᲓᲐ ᲓᲐ ᲠᲐᲖᲔᲪ ᲡᲣᲚ 87,5 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲯᲐ. Გ. ᲩᲮᲔᲜᲙᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔ-ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲔᲢᲐ�პᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲡ ᲙᲘ 20,2 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲓᲐ.

2020 ᲬᲔᲚᲡ, ᲚᲢᲝᲚᲕᲘᲚᲗᲐ ᲓᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ �გᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲘᲗ, ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲮᲝᲜᲘᲡ ᲓᲔᲕᲜᲘᲚᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ, ᲠᲐᲪ 250 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲔᲕᲠᲝᲗᲘ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲓᲐ.

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

ᲮᲝᲜᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ Ა(Ა)ᲘᲞ ᲮᲝᲜᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲙᲝᲛ�პᲚᲔᲥᲡᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ (�გᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ 380 ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔ ᲓᲐ 25 ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ) ᲓᲐ Ა(Ა)ᲘᲞ ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲙᲚᲣᲑᲘ ᲮᲝᲜᲘᲡ „ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘ“ (2 ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ ᲓᲐ 25 – ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲘ).

2020 ᲬᲔᲚᲡ, 2013 ᲬᲔᲚᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ, ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲮᲝᲜᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘᲓᲐᲜ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲡ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲔᲑᲐ.

ᲮᲝᲜᲘᲡ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲔᲑᲘᲐ: ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ, ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ, ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲭᲘᲓᲐᲝᲑᲐ, ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ, ᲠᲐ�გᲑᲘ, ᲫᲐᲚᲝᲐᲡᲜᲝᲑᲐ, ᲛᲫᲚᲔᲝᲡᲜᲝᲑᲐ, ᲙᲠᲘᲕᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲐᲢᲔ. ᲢᲐᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲔᲑᲘ, ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ უᲑᲜᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲣᲠᲘ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲔᲑᲘ ᲜᲐᲠᲓᲨᲘ, ᲥᲣᲩᲘᲡ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲨᲘ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘ ᲑᲐᲠᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ, ᲛᲮᲘᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲠᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲮᲒ. ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲛᲝᲜᲐ�წᲘᲚᲔᲝᲑᲔᲜ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲣᲠ, ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲣᲚ, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠ, ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲔᲑᲨᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲡ ᲐᲦᲬᲔᲕᲔᲜ.

2014-2021 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ-ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲔᲑᲘ, ᲛᲐᲗ ᲨᲝᲠᲘᲡ:

2014 ᲬᲔᲚᲘ – Ქ. ᲮᲝᲜᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ (ᲛᲝᲬᲔᲡᲠᲘ�გᲓᲐ ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲔᲑᲘ, �გᲐᲠᲔᲛᲝᲜᲢᲓᲐ �გᲐᲡᲐᲮᲓᲔᲚᲔᲑᲘ), ᲠᲐᲖᲔᲪ 41,7 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲯᲐ; ᲡᲐᲗᲐᲓᲐᲠᲘ�გᲝ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘᲓᲐᲜ ᲡᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝ ᲜᲐᲠᲩᲔᲜᲔᲑᲘᲡ �გᲐᲢᲐᲜᲐ (6 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ); ᲮᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲛ�პᲚᲔᲥᲡᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲡ ᲘᲐᲢᲐᲙᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ (72,4 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ);

2015 ᲬᲔᲚᲘ – Ქ. ᲮᲝᲜᲨᲘ, ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ-ᲒᲐᲛᲐᲯᲐᲜᲡᲐᲦᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛ�პᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐᲖᲔ (�გᲐᲠᲔᲛᲝᲜᲢᲓᲐ �გᲐᲡᲐᲮᲓᲔᲚᲔᲑᲘ, ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲕᲐᲜᲫᲔᲑᲘ, ᲡᲐᲭᲘᲓᲐᲝ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲝ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲔᲑᲘ, ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ) 388, 6 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲓᲐᲘᲮᲐᲠᲯᲐ.

2017 ᲬᲔᲚᲘ – ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚ-ᲒᲐᲛᲐᲯᲐᲜᲡᲐᲦᲔᲑᲔᲚᲘ ᲙᲝᲛ�პᲚᲔᲥᲡᲘᲡ – ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ (ᲢᲠᲘᲑᲣᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲐ) ᲡᲐᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲡ 10 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲓᲐ; Ქ. ᲮᲝᲜᲨᲘ, ᲒᲣᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ, ᲛᲘᲜᲘᲛᲝᲔᲓᲜᲘᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲡᲐᲤᲐᲠᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲐ 4,9 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘᲗ ᲓᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲓᲐ. ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲛ, ᲮᲝᲜᲨᲘ, ᲥᲣᲩᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲠᲯᲘᲨᲝ ᲛᲝᲬᲧᲝᲑᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲢᲐᲟᲘ 14,8 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘᲗ ᲓᲐᲐᲤᲘᲜᲐᲜᲡᲐ.

2019 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲐ ᲮᲝᲜᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘᲡ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲨᲔᲜᲝᲑᲘᲡ, ᲡᲢᲘᲥᲘᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲓᲐᲖᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ, ᲡᲐᲮᲣᲠᲐᲕᲘᲡ ᲠᲔᲐᲑᲘᲚᲘᲢᲐᲪᲘᲐ – 4,3 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ; ᲡᲝᲤᲔᲚ �გᲝᲩᲐ ᲯᲘᲮᲐᲘᲨᲘᲡ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲖᲔ ᲛᲝᲬᲧᲝ ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ – 12, 9 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ.

2013-2016 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ, ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲛ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲛᲪᲘᲠᲔᲤᲐᲡᲘᲐᲜᲘ ᲘᲜᲕᲔᲜᲢᲐᲠᲘ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲐ (ᲓᲐᲮᲐᲠᲯᲐ 10,0 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲚᲐᲠᲘ).

ᲮᲝᲜᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲓᲐ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ Ს�პᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲔᲑᲘ: Ა�გᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲝᲛᲨᲘ ᲓᲐᲦᲣ�პᲣᲚᲘ ᲛᲔᲠᲐᲑ �თᲣᲗᲘᲡᲐᲜᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲨᲘ; ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲓᲦᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ Ს�პᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ (ᲤᲠᲔᲜᲑᲣᲠᲗᲘ, ᲜᲐᲠᲓᲘ, ᲨᲐᲨᲘ) ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲨᲘ; ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲦᲘᲡᲐᲓᲛᲘ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲐ; ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲗᲐ ᲚᲘᲒᲘᲡ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲐ ᲓᲘᲓ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ; ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ; ᲛᲐᲡᲢᲔᲠ ᲚᲘᲒᲐ; ᲛᲘᲜᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ ᲮᲝᲜᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ; ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ; ᲔᲕᲠᲝ�პᲘᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲓᲦᲔ, ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲡᲛᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕ.

2019 ᲬᲔᲚᲡ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲛ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲡᲐᲭᲘᲓᲐᲝ ᲮᲐᲚᲘᲩᲐ ᲓᲐ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲑᲣᲠᲗᲔᲑᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲪᲐ.

ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲣᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐ

ᲮᲝᲜᲘᲡ ᲛᲣᲜᲘᲪᲘ�პᲐᲚᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲡ ᲕᲔᲢᲐ ᲩᲮᲔᲜᲙᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲮᲝᲜᲘᲡ ᲛᲝᲡ�წᲐᲕᲚᲔ-ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ. წლის განმავლობაში, მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის მონაწილეობით, მრავალფეროვანი ღონისძიებები ტარდება. მათ შორის, **2018 წელს გაიმართა –** საბავშვო თოჯინების თეატრის პრემიერა, სპექტაკლში „სამი გოჭი“ მონაწილეობდა ცენტრის თეატრალური წრის 5 მოსწავლე. წარმოდგენას ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დაწყებითი კლასების 300-ზე მეტი მოსწავლე დაესწრო; მუნიციპალური მოსწავლეთა ლიტერატურული კონკურსი „ფიქრის კრიალოსანი“, რომელიც ცნობილი ქართველი მწერლის, წარმოშობით ხონელის, ლეილა მესხის საიუბილეო, 80 წელს მიეძღვნა და ღონისძიებაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 18 მოსწავლე მონაწილეობდა; იგავ-არაკების საღამო ცენტრის მხატვრული კითხვის წრის 14 მოსწავლის მონაწილეობით გაიმართა; მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში გამართულ მოსწავლეთა 72-ე სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციის დასკვნით ტურში ცენტრის 4-მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა და კინოსექციაში წარდგენილმა ფილმმა – „ქამელეონი“ მე-3 ხარისხის დიპლომი დაიმსახურა;

ასევე, ჩატარდა მხატვრული კითხვის ოსტატთა კონკურსი „ნორჩი დეკლამატორი“, რომელშიც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 38 მოსწავლე მონაწილეობდა; პროექტის – სკოლა ეკონომიკის ფარგლებში, მოსწავლეებისთვის „ღია კარის დღე“ და პარაქტიკის საათი ჩატარდა ხონის მუნიციპალიტეტის მერიაში, რესტორან „ქალაქის ჩრდილში“, ამირან კაშიას ავეჯის საწარმოსა და სს „ევექსის“ ხონის კლინიკაში. „გოგოების დღე“ გაიმართა ნახახულევის ავეჯის საწარმოში, ღონისძიებაში ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 120-მდე მოსწავლე მონაწილეობდა; სასწავლო ექსკურსიას ქუთაისის საააპელაციო სასამართლოში ცენტრის სამართალმცოდნეობის წრის 21 მოსწავლე დაესწრო; ასევე მოეწყო მეაბრეშუმეობის საზაფხულო სკოლა „ჩვენ ვწავლობთ მეაბრეშუმეობას” (5 მოსწავლე) და სხვ.

2019 წელს: სახელმწიფო დროშის დღე ხონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დისლოცირებული სამხედრო ნაწილების ჯარისკაცებთან და სამხედრო მოსამსახურეებთან შეხვედრით აღინიშნა, ღონისძიებაში ცენტრის სახელოვნებო მიმართულებების 40 მოსწავლე და 30 სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობდა. ვიქტორინა-კონკურსი „მუსიკალური კალეიდოსკოპი“ ცენტრის სამუსიკო სტუდიის 42 მოსწავლის მონაწილეობით გაიმართა; მოეწყო საბავშვო პოეტისა და ჟურნალისტის, ამირან ბოკელავაძის ხსოვნის საღამო და მისივე საბავშვო ლექსების კრებულის „კოკრო-ჭინას” პრეზენტაცია (მონაწილეობდა 16 მოსწავლე);

ხონის მუნიციპალიტეტში აღინიშნა დედამიწის მსოფლიო დღე – სასწავლო-შემეცნებით-ტურისტულ ექსპედიციაში მარშრუტით: ხონი-ნახულევი-მათხოჯიხიდი-ნოღა-გელავერი, მონაწილეობდა ცენტრის მხარეთმცოდნეობისა და ტურიზმის კლუბის 20 მოსწავლე; მო

მედლით დაჯილდოვდა; მუსიკალური კონკურსში „მე, შენ და საქართველო" – მონაწილეობდა ცენტრის ვოკალური სტუდიის 3 მოსწავლე, საიდანაც ერთ-ერთმა III ადგილი დაიკავა; გაიმართა კომპოზიტორ გია ყანჩელის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო „ის აქ არის" ვოკალური და ქორეოგრაფიული სტუდიების 30 მოსწავლის მონაწილეობით; თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმში გამართულ მოსწავლეთა სამეცნიერო კონფერენციაში, „ხალხური მედიცინა – ქართული კულტურის საგანძური", ცენტრის მხარეთმცოდნეობის კლუბის 2 მოსწავლის ნაშრომებმა დიპლომები და ფასიანი საჩუქრები დაიმსახურა და სხვ.

2017 წელს განხორციელდა ვეტა ჩხენკელის სახელობის ხონის მოსწავლეახალგაზრდობის ცენტრის შენობის III სართულის I ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რასაც 20,2 ათასი ლარი დაიხარჯა.

ახალგაზრდული მიმართულებით, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ, ხონის მუნიციპალიტეტში, სხვადასხვა სახის პროექტები განახორციელა: მოხალისეობის განვითარების პროგრამა (რეგიონის მასშტაბით მონაწილეობდა 2-2 ახალგაზრდა ყველა მუნიციპალიტეტიდან); „საქართველოს თასი ლაშქრობაში" (მონაწილეობდნენ 18-დან 29 წლამდე ასაკის ახალგაზრდები საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტიდან); მუნიციპალიტეტებში ჩატარდა ახალგაზრდობაზე პასუხისმგებელ პირთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები.

მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული მიმართულებით, ხონის მუნიციპალიტეტში, შემდეგი ღონისძიებები გატარდება:

- უზრუნველყოფილი იქნება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროში მუნიციპალიტეტის მართვაში არსებული ინსტიტუციების ეფექტიანი და შედეგებზე ორიენტირებული საქმიანობა;
- გაიზრდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროების დაფინანსება;
- გაიზრდება კულტურის ხელმისაწვდომობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის;
- ხელი შეეწყობა სახელოვნებო განათლების განვითარებას;
- განხორციელდება კულტურული ცხოვრების ხელშემწყობი და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვა-რეაბილიტაციის ღონისძიებები;
- გაგრძელდება სპორტის მასობრივი და მაღალი მიღწევების მქონე სახეობების განვითარება;
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში სპორტის პრიორიტეტულ სახეობათა პოპულარიზაციას;
- ნიჭიერი ბავშვებისა და ახალგაზრდების სპორტული შესაძლებლობების გამოსავლენად გაგრძელდება წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობა და მათთვის შესაბამისი პირობების შექმნა;
- გაგრძელდება სპორტული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაცია:
- ხელი შეეწყობა მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობაში ახალგაზრდების ჩართვასა და მათ მიერ ინიცირებული პროექტების განხორციელებას;
- განხორციელდება სპორტული ცხოვრების განვითარებისა და ახალგაზრდობის ეფექტიანი პოლიტიკის გატარების ხელშემწყობი პროექტები.

მართლწესრიგი

დანაშაულის სტატისტიკა

2017-2020 წლებში, ხონის მუნიციპალიტეტში, მძიმე დანაშაულის (იმ **5** სახეობის – მკვლელობა, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, გაუპატიურება, ძარცვა, ყაჩაღობა, რაც არსებითად განსაზღვრავს კრიმინოგენური მდგომარეობის სურათს, მიხედვით) სტატისტიკა მოყვანილია ცხრილში:

ცხ. 1 ხონის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე დანაშაული 2017-2020 წწ.

მძიმე დანაშაული სახეობათა მიხედვით	2017 წ	2018 წ	2019 წ	2020 წ
განზრახ მკვლელობა (სსკ-ის 108-ე-109-ე მუხლები)	0	1	0	0
მათ შორის, გახსნილი	0	1	0	0
მძიმე დანაშაული ჯანმრთელობის წინააღმდეგ (სსკ-ს 117-ე მუხლი, ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება)	0	0	2	0
მათ შორის, გახსნილი	0	0	1	0
გაუპატიურება (სსკ-ს137-ე მუხლი)	0	0	0	1
მათ შორის, გახსნილი	0	0	0	1
ძარცვა (სსკ-ს 178-ე მუხლი)	0	0	2	0
მათ შორის, გახსნილი	0	0	0	0
ყაჩაღობა (სსკ-ს 179-ე მუხლი)	2	1	0	3
მათ შორის, გახსნილი	2	0	0	1
სულ	2	2	4	4
მათ შორის გახსნილი	2	1	1	2

ცხ.2 პრობაციონერთა სტატისტიკა ხონის მუნიციპალიტეტში

პრობაციონერთა სტატისტიკა	2017 წ	2018 წ	2019 წ	2020 წ
მოქმედ პრობაციონერთა საერთო რაოდენობა	121	95	102	107
არასრულწლოვან მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა	0	0	0	0
დანაშაულის რეციდივის შემთხვევები	1	8	2	1
სოციალური რეაბილიტაციის პროგრამაში მონაწილე პრობაციონერთა რაოდენობა	0	0	1	0
პრობაციის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და ხელშეწყობით დასაქმებულ მსჯავრდებულთა რაოდენობა	2	0	0	0

მძიმე დანაშაულის სტატისტიკა მოწმობს, რომ ხონის მუნიციპალიტეტში 2017-2020 წლებში კრიმინოგენური მდგომარეობა საკმაოდ მშვიდი და სტაბილურია: ამ წლებში მთლიანად რეგისტრირებულია კრიმინოგენური მდგომარეობის სურათის განმსაზღვრელ სახეობათა დანაშაულების სულ 12 შემთხვევა, რომელთაგან გახსნილია – 6 ანუ 50%, რაც გახსნის საშუალო მაჩვენებელია. სტატისტიკით დასტურდება, რომ მძიმე დანაშაულის რეგისტრირებული შემთხვევები მუნიციპალიტეტში იშვიათია, ყოველწლიურად 2-4 შემთხვევის ფარგლებშია, ხოლო მათი რაიმე ზრდა წლების მიხედვით არ შეინიშნება.

საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ეფექტიანი სისტემის უზრუნველყოფისთვის **შინაგან საქმეთა სამინისტროს** შემდგომი განვითარება გაგრძელდება **„სისტემური განახლების"** კონცეფციის შესაბამისად. უმნიშვნელოვანესია, რომ გაღრმავდება **კრიმინალური პოლიციის რეფორმა;** კერძოდ, კრიმინალურ პოლიციაში დასრულდება საუბნო მიმართულების ეტაპობრივი ჩანაცვლება საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის მოდელით. განვითარდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი **მართლწესრიგის ოფიცრის ინსტიტუტი,** რომლის უმთავრესი ამოცანა იქნება დანაშაულის პრევენციაზე მუშაობა.

პრობაციონერთა სტატისტიკა

2017-2020 წწ. ხონის მუნიციპალიტეტში პრობაციონერთა სტატისტიკა მოყვანილია ცხ.2 -ში.

მოქმედ პრობაციონერთა რაოდენობა, წინა წლებთან შედარებით, დასტაბილურდა და აღარ იზრდება. განმეორებით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევათა რიცხვი მაღალი არ არის და საანგარიშო პერიოდში (2017-20 წლებში) ასეთი სულ 12 ფაქტი აღირიცხა, რაც მუნიციპალიტეტში კრიმინოგენური ვითარების სტაბილურობაზე მეტყველებს.

აღსანიშნავია, რომ პრობაციის სამინისტროს მიერ, 2016-19 წლებში, მუნიციპალიტეტში 3 პრობაციონერი დასაქმდა. სამომავლოდ სააგენტოს მიერ მუნიციპალიტეტში განხორციელდება სოციალური რეაბილიტაციის სპეციალური პროგრამები, ასევე ხელი შეეწყობა უფრო მეტი პრობაციონერის დასაქმებას მუნიციპალიტეტში.

ხონის იუსტიციის სახლი.

2019 წლის 28 ივნისიდან ხონში შეუფერხებლად მუშაობს იუსტიციის სახლი, რომელიც მოსახლეობას 400-მდე სახის მომსახურეობას უწევს.

იუსტიციის სახლის გახსნის შემდგომ, ხონის მუნიციპალიტეტში, ყოველ მოქალაქეს შესაძლებლობა ეძლევა, მისთვის კომფორტულ გარემოში, ერთ შენობაში, ზედმეტი დროის ხარჯვის გარეშე და მაქსიმალურად ხელსაყრელ პირობებში, მიიღოს ისეთი მნიშვნელოვანი და აუცილებელი დოკუმენტები, როგორებიცაა მაგ. დაბადებისა და პირადობის მოწმობა, პასპორტი თუ ქორწინების მოწმობა, ამონაწერი საჯარო თუ სამეწარმეო რეესტრიდან; სწრაფად და მოხერხებულად, ზედმეტი ბიურიკრატიული ბარიერების გარეშე, დაარეგისტრიროს უძრავ ნივთზე საკუთრება, განახორციელოს სამეწარმეო თუ არასამეწარმეო იურიდიული პირის რეგისტრაცია და სხვა.

იუსტიციის სახლის მომსახურეობით კმაყოფილების ხარისხი, ჩატარებული კვლევების შესაბამისად – 92%-ს აღწევს, რაც საჯარო მომსახურეობის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

ხონის იუსტიციის სახლი სამომავლოდაც განაგრძობს მაღალი ხარისხითა მომსახურეობას და იზრუნებს, რათა კიდევ უფრო მეტად გაფართოვდეს მოქალაქეებისთვის შეთავაზებული სერვისები, ხოლო მათ მისაღებად, უფრო მოსახერხებელი და კომფორტული გარემო შეიქმნას.

ჩემო ძვირფასებო!

პირველ რიგში, მსურს, მადლობა გადაგიხადოთ იმ ნდობისთვის, რომელიც 4 წლის წინ გამომიცხადეთ და მხარდაჭერისთვის, რასაც მთელი ამ დროის განმავლობაში თითოეული თქვენგანისგან ვგრძნობდი.

ერთად გავიარეთ ძალიან რთული, მაგრამ საკმაოდ ნაყოფიერი პერიოდი. ჩემს მიერ დასახული მიზნების ნაწილი უკვე განხორციელდა ან მიმდინარე, სამუშაო პროცესშია; თუმცა კარგად ვაცნობიერებ, რომ პრობლემა გაცილებით მეტია და გარწმუნებთ, ჩემს გუნდთან ერთად, თქვენთან ერთად, ყველა გამოწვევას აუცილებლად გავუმკლავდებით.

მერობის პირველი დღიდან ჩემი მიზანი ხონის თანამედროვე, ევროპული სტანდარტების ქალაქად გარდაქმნა იყო. დღეს, 4 წლის თავზე, ყველა ვხედავთ ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებს, ქალაქის ცენტრისა და ცენტრალური ბულვარის სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რასაც დასუფთავებისა და გამწვანების კუთხით არსებული პრობლემების გადაჭრაც მოჰყვება.

პირობას გაძლევთ, ჩემს გუნდთან ერთად, ყველაფერს გავაკეთებ ჩვენი მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ!

კიდევ ერთხელ გთხოვთ მხარდაჭერას, გაერთიანებას ხონისთვის, რათა ერთობლივად, ერთმანეთის გვერდით დგომით შევძლოთ ძალიან მნიშვნელოვანი წამოწყებების ბოლომდე მიყვანა და სამომავლო გეგმების ზედმიწევნით შესრულება!

ერთად აუცილებლად გავიმარჯვებთ, 4 წლის შემდეგ კი ხონი იქნება საცხოვრებლად ყველასთვის სასურველი, დიდი შესაძლებლობების მქონე მუნიციპალიტეტი!

გავერთიანდეთ ხონის გამარჯვებისთვის!

„ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბი ყველა ამომრჩეველს და საჯარო მოსამსახურეს მოუწოდებს, კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს დაიცვან ქცევის შემდეგი წესები:

- დაუშვებელია საჯარო მოსამსახურეების, საჯარო სკოლების პედაგოგების, აგრეთვე სსიპ-ებისა და სახელმწიფოს ან მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ-ების თანამშრომლების საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, მათ შორის სოციალურ ქსელებში პოლიტიკური შეხედულებების გამოხატვის გზით;

- დაუშვებელია სახელმწიფო და მუნიციპალური თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენება ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლისთვის რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებლის გადაცემა ან შესაბამისი დაპირების გაცემა ამომრჩევლის მიერ ამა თუ იმ საარჩევნო სუბიექტის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისგან თავის შეკავების უზრუნველყოფის მიზნით;

- დაუშვებელია ამომრჩევლის იძულება, სხვა პირს გაუმჟღავნოს საკუთარი არჩევანი, მათ შორის საარჩევნო ბიულეტენის ფოტოგადაღების ან საარჩევნო კაბინიდან გამოსვლის შემდეგ ბიულეტენის საჯაროდ ჩვენების გზით;

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება, აგრეთვე შევსებული საარჩევნო ბიულეტენის სხვა პირთათვის ჩვენება დაუშვებელია;

- დაუშვებელია ხმის მიცემა სხვა ამომრჩევლის ნაცვლად, აგრეთვე საარჩევნო ბიულეტენის შევსება სხვა პირის თანდასწრებით;

- კენჭისყრის შენობაში კენჭისყრის დღის 8 საათიდან 20 საათამდე აკრძალულია საარჩევნო აგიტაცია;

- მოვუწოდებთ ყველა პარტიის აქტივისტს, მხარდამჭერსა და ამომრჩეველს, თავი შეიკავონ საარჩევნო უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაყოვნებისგან;

- აკრძალულია კენჭისყრის შენობაში ან კენჭისყრის შენობის მიმდებარედ ამომრჩევლის გადაადგილების ფიზიკურად შეფერხება.